# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი
№73 (9904) 2025 წლის 23 მაისი, პარასკევი

ხელისუფლება იმოქმედებს ისე, როგორადაც ჩათვლის საჭიროდ!




რა ფუნქციას შეასრულებს კანონი და რა ახალ შეზღუდვებს გამოიწვევს ის?!

4

# ქართული „ფარა“ 31 მაისს ამოქმედდება!

# მსოფლიო გადანაწილებიდან საქართველო უმსხვერპლოდ გამოვა! 2



2

## მაინც, რა დონის მატყუარაა უსინდისო ჯო?!



ალექსანდრე მგებრიშვილი:

**ჯოჯოხეთი იყო გლდანის ციხე 2010 წელს, შეიძლება ითქვას, ჯოჯოხეთზე უარესი!**

3

---------



რუსუდან შარაძე:

**გურამ შარაძის მკვლელობის სცენარი წინასწარ იყო მოფიქრებული, დადგმული და შესრულებული...**

## საბჭოური 5 ფეხბურთის მიუსაფარი ბოლო ჯილდო

## ხსოვნის სიცოცხლე



7

**ვიქტორია სირაძე ეპოქის ღირსეული სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწე**

## ოთარ ფაცაციას პატივგება




5

**რადიოარხ „საქართველოს რადიოს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა** 11

საქართველოს რესპუბლიკა

უჟამო ჟამი

№73. პარასკევი, 23 მაისი, 2025 წელი

## კვირის ციტატები

### ირაკლი კობახიძე:



„თავის დროზე აბსოლუტურად ყალბი განცხადებები კეთდებოდა, თითქოს დასავლეთიდან არაფერი ცუდი, არ შეიძლება, წამოვიდეს დაფინანსების სახით. ამ დროს თავად დასავლეთმა აღიარა, რომ „იუესაიდი“, „ნედი“, „იდი“ და სხვა ფონდები გამოიყენებოდა რევოლუციური სცენარის განსახორციელებლად. ტრამპის ადმინისტრაციამ თქვა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში რევოლუციებისთვის გამოიყენებოდა.

ამის შემდეგ, გახსოვთ, ილონ მასკმა გაავრცელა ვიდეო, სადაც საქართველოს მაგალითიც იყო მოყვანილი ამ კონტექსტში, რომ „იუესაიდი“და „ნედი“ ხელს უწყობდნენ სხვადასხვა ქვეყანაში რევოლუციების მოწყობას. ისედაც ხომ ყველამ ვიცით, რომ საქართველოში გვქონდა რევოლუციის მოწყობის ოთხი მცდელობა გასული ოთხი წლის განმავლობაში, ამაში პირდაპირ იყო ჩართული „იუესაიდი“, „ნედი“, ამერიკის ყოფილი ელჩი, შესაბამისად, ყველაფერი არის დღესავით ნათელი.

ჩვენ ვერავის მივცემთ იმის საშუალებას, შავი ფულით, გაუმჭვირვალე ფულით საქართველოში მოგვიწყონ რევოლუციები. ამას ვერ მოაწყობენ, მაგრამ მცდელობაც უნდა იყოს წინასწარ აღკვეთილი“...

# მაინც, რა დონის მატყუარაა უსინდისო ჯო?!



## მარკო რუბიოს პოზიცია ჯო უილსონის კითხვაზე



**კონგრესში, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მარკო რუბიოს პასუხი კითხვაზე, თუ რის გაკეთებას აპირებს სახელმწიფო დეპარტამენტი „ქართულ ოცნებასთან“ მიმართებით, პოლიტიკური განხილვის და შეფასებების თემაა.** ეს კითხვა **მარკო რუბიოს** „მეგობარი აქტის“ ინიციატორმა **ჯო უილსონმა** დაუსვა. პასუხი კი ასეთი იყო:

**„როგორც ნებისმიერი სხვა საკითხი, დავუბრუნდები იმას, რაც ვთქვი ჩემს შესავალ განცხადებაში, შეერთებული შტატების მიზანია ჩვენი ეროვნული ინტერესები. ამიტომ ჩვენ შევხედავთ ამას და ვიტყვით, არის თუ არა ჩვენი ეროვნული ინტერესი ანტიამერიკული მთავრობის არსებობა მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში და თუ არა, მივიღებთ შესაბამის ზომებს, რათა ამ მთავრობამ ფასი გადაიხადოს. ეს საკითხი ამჟამად განხილვის პროცესშია, ჩვენ ვეძებთ ვარიანტებს და დამატებით შესაძლებლობებს. დღეს არანაირი განცხადება არ მაქვს კონკრეტულად იმის შესახებ, რის გაკეთებას ვგეგმავთ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის საკითხი, რომელიც განიხილება“,** – განაცხადა **მარკო რუბიომ.**

ოპოზიციური სპექტრის შეფასებაა, რომ „ქართული ოცნება“ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობებს ვერ დაალაგებს. მმართველი გუნდი კი – მარკო რუბიოს განცხადებას ბუნდოვანს უწოდებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა მეტი სიცხადე ორმხრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

### მაკა ბოჭორიშვილი:

**„სახელმწიფო მდივნის პასუხიდან, დღეს რა დასკვნაც შეიძლება გავაკეთოთ არის ის, რომ ამერიკას საქართველოსთან და, ზოგადად, ამ რეგიონთან მიმართებით პოზიციები არ აქვს“**



– განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

**მაკა ბოჭორიშვილის** თქმით, ჯო უილსონის მიერ დასმული კითხვა, „ქართული ოპოზიციის“ და აქტივისტების სასაზრდოოდ იყო დასმული, რათა მსგავსი ტიპის საგარეო აქტორების განცხადებებით, „ქართულმა ოპოზიციამ“ პოლიტიკური დღის წესრიგი შექმნას.

**მაკა ბოჭორიშვილმა ასევე მარკო რუბიოს რეფორმასთან დაკავშირებითაც ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, საელჩო და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები შეაფასებენ ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და განსაზღვრავენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. მისივე თქმით, ამას აქამდე USAID-ი და მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები ახორციელებდნენ, ახლა საუბარია იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს ინფორმაციის წყარო.**

# მსოფლიო გადანაწილებიდან საქართველო უმსხვერპლოდ გამოვა!

**„ამერიკას მშვიდობა სურს, ხოლო ზოგი ევროპელი პოლიტიკოსი ომის მოწოდებით გამოდის“, – კენედის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას, ამერიკის პირველმა დიპლომატმა განაცხადა, რომ ეს ამბავი მას ვატიკანში ერთ-ერთმა კარდინალმა უთხრა. როგორც მარკო რუბიომ აღნიშნა, ამერიკის პრეზიდენტს სურს თავდაცვაზე დიდი ფული არ იხარჯებოდეს, უკეთესი იქნებოდა, თუ ფინანსური სახსრები ეკონომიკის განვითარებას მოხმარდებოდა.**



**ის, რომ ევროპა რუსეთ-უკრაინის ომის გაგრძელებით არის დაინტერესებული და ლობირებს ომის დიდი ხნით გაგრძელებას, ამას ადასტურებს ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბორის ჯონსონის გადაწყვეტილება, როდესაც მან ჩაშალა სტამბოლის მოლაპარაკებები.**

**ევროპელებისგან განსხვავებით ომის შეჩერება შედის ამერიკის ინტერესებში. დონალდ ტრამპის მიზანია, ეს ომი არ გახდეს ამერიკის ომი და რაც შეიძლება მალე მოხდეს მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტაზე მოლაპარაკება.**

ორსაათნახევრიანი სატელეფონო საუბარი დონალდ ტრამპსა და ვლადიმერ პუტინს შორის იმით დასრულდა, რომ ლიდერებმა გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს. ტრამპი ამბობს, რომ უკრაინის ბრძოლის ხაზზე საშინელი ვითარებაა, ყოველ კვირა 5000 ახალგაზრდა იღუპება.

**„ვცდილობთ, ეს ყოველივე დავასრულოთ. სატელეფონო საუბარმა, ვფიქრობ, ძალიან კარგად ჩაიარა. რუსეთი და უკრაინა დაუყოვნებლივ დაიწყებენ მოლაპარაკებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და, რაც მთავარია, ომის დასასრულებლად. პირობების შესახებ მოლაპარაკებები მხარეებს შორის გაიმართება, რადგან მხოლოდ მათ იციან მოლაპარაკებების დეტალები, რაც სხვებისთვის უცნობია. საუბრის ტონი და სულისკვეთება შესანიშნავი იყო. ასე რომ არ იყოს, ახლავე ვიტყოდი და არა მოგვიანებით“,** – წერს **დონალდ ტრამპი.**

მისი თქმით, რუსეთს აშშ-თან ფართომასშტაბიანი ვაჭრობა სურს, როგორც კი ეს კატასტროფული სისხლისღვრა დასრულდება.

ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ დაიწყება. პუტინთან საუბრის შემდეგ თეთრმა სახლმა საქმის კურსში ჩააყენა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯია მელონი, გერმანიის კანცლერი ფრიდრიხ მერცი და ფინეთის პრეზიდენტი ალექსანდრ სტუბი.

თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ დონალდ ტრამპთან საუბარი გულახდილი და შინაარსიანი იყო. რუსეთი მზადაა უკრაინასთან მემორანდუმზე მუშაობისთვის, მათ შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესახებ.

**„მოსკოვი საომარი მოქმედებების შეწყვეტის მომხრეა, მაგრამ აუცილებელია მშვიდობისკენ მიმავალი ყველაზე ეფექტური გზების შემუშავება“,** – განუცხადა **ვლადიმერ პუტინმა** ჟურნალისტებს.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეები შეთანხმდნენ მოლაპარაკებების დაუყოვნებლივ დაწყებასთან დაკავშირებით, უკრაინის პრეზიდენტმა ახალი ულტიმატუმი წამოაყენა და მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლა მოითხოვა – ზელენსკი მოლაპარაკებებში ევროპელი ლიდერების დასწრებას ითხოვს. ზელენსკის ეს ე.წ. ულტიმატუმი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უკრაინა, ისევე როგორც ევროპა, დაინტერესებულია ომის გაგრძელებით.

**„პუტინთან საუბრამდე ვთხოვე, რომ უკრაინის შესახებ გადაწყვეტილებები ჩვენ გარეშე არ მიიღო. ჩვენთვის ეს ძალიან პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენი ტერიტორიებიდან ჩვენს ჯარებს არავინ გაიყვანს. ეს ჩემი კონსტიტუციური მოვალეობაა. არანაირი ულტიმატუმები, არავინ დათმობს თავის მიწებს, თავის ხალხს, თავის სახლებს. თუ რუსეთი ჩვენი ტერიტორიებიდან ჩვენი ჯარების გაყვანის პირობებს წამოაყენებს, ეს ნიშნავს, რომ მათ ომის დასრულება არ სურთ, რადგან მათ ნათლად ესმით, რომ უკრაინა ამას არ გააკეთებს“,** – აღნიშნა **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** და აქვე დასძინა, რომ **თურქეთში, ვატიკანსა ან შვეიცარიაში უკრაინის, რუსეთის, აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების შეხვედრის ორგანიზება განიხილება.**

ომის შესაძლო დასრულებით შეშფოთებულია ევროპა. ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ აშშ კვლავ ჩართულობას ინარჩუნებს და აქვე აცხადებს, რომ უკრაინაში მდგრადი მშვიდობის მისაღწევად ზელენსკის მხარდაჭერას გააგრძელებენ. გერმანიის კანცლერის ფრიდრიხ მერცის განცხადებით, ევროპა სანქციების მეშვეობით მოსკოვზე ზეწოლას გააძლიერებს.

იხ. 4 გვ.



**ალექსანდრე მეგუთნიშვილი:**

# ჯოჯოხეთი იყო გლდანის ციხე 2010 წელს, შეიძლება ითქვას, ჯოჯოხეთზე უარესი

**„2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიაზე“ გამოცხადდა ბიზნესმენი ალექსანდრე მეგუთნიშვილი, მან დეტალურად გაიხსენა გლდანის ციხეში გატარებული პერიოდი და უფლებების შელახვის ფაქტებზე ისაუბრა.**

რაც შეეხება, როგორ მოხდა მისი დაკავება, ალექსანდრე მეგუთნიშვილის განცხადებით, ქონების წართმევის შემდეგ, უკვე 2010 წელს დაიბარეს თელავის კუდ-ის შენობაში, სადაც დათო ლორთქიფანიძემ უთხრა, რომ ორ საათში უნდა მიეტანა 10 000 დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში „გაცამტვერებით“ დაემუქრა. ალექსანდრე მეგუთნიშვილის განმარტებით, „დათო ლორთქიფანიძემ თქვა, რომ ეს თანხა უნდოდათ „აფხაზეთის რადიოსთვის“. მეგუთნიშვილი ამბობს, რომ იმ დღეს 2 000 დოლარის მეტის მიტანა ვერ შეძლო და დაახლოებით ათი დღის შემდეგ მოხდა მისი დაკავება.

**„გლდანის ციხეში რომ გადაგვიყვანეს მე და ჩემი ბიძაშვილი, ლექსო მეგუთნიშვილი, სამი პოლიციელი ჩამომყვა. ვისაც ჩააბარეს ჩვენი დოკუმენტაცია, თელავის პოლიციელებმა უთხრეს, რომ მაგ განჩინებაში რაც წერია, ეგრე არ არის, გაითვალისწინეთო. მე შემიყვანეს პირველ საკანში, კარანტინში, ჩემი ბიძაშვილი – მესამეში. კარი რომ გაიღო, ვიღაც ბიჭი იჯდა ჩაცუცქული, ეტყობა, კარის ღრიჭოსთან ჰაერს სუნთქავდა. კარი რომ გაიღო, წამოდგა და მითხრა, 35-ე ხარო, რაც ნიშნავდა, რომ 18 კვადრატულ მეტრ საკან-**



**ში 35 პატიმარი იყო. 16 დღე არც დავმჯდარვარ, არც დავწოლილვარ.**

**ჯოჯოხეთი იყო გლდანის ციხე 2010 წელს, შეიძლება ითქვას, ჯოჯოხეთზე უარესი. ზოგან 40 კაცი იყო, ზოგან იმაზე მეტი. კარანტინში სულ შვიდი საკანია, მაგრამ მხოლოდ სამი იყო დატვირთული, რომ სპეციალურად ვყოფილიყავით ასეთ სიტუაციებში, დანარჩენი ოთხი თავისუფალი იყო, თვითონ იმათი ნათქვამია.**

**16 დღის შემდეგ, ხელს რომ ვერ დაიბან, პირს რომ ვერ დაიბან, შეიძლებოდა, პურის ყუა მოგეტეხა, რაღაცები შემოდიოდა, მაგრამ არავინ არაფერს ჭამდა, ისეთი ანტისანიტარია იყო. რომელ კბილის ჯაგრისზე, რომელ დაბანაზეა ლაპარაკი? ეს ხომ გამორიცხულია. მარიამობას, 28 აგვისტოს ციხეში შევხვდი, შემოსული იყო გამომძიებელი, ვინმე ბერძენაშვილი და ერთი ადვოკატი იყო, რაღაცაზე მომაწერინეს ხელი.**

**შემთხვევით ჩემი ნაცნობი შემხვდა, უკვე ექვსი თვე იქ იჯდა და რომ მნახა, გაუკვირდა. ვუთხარი, შენ თუ რამე შეგიძლია, იქნებ მაღლა კარანტინზე „ამომწიონ“, უკვე გაუსაძლისია, ფეხები მეკეცება-მეთქი. მე ყველა კარანტინის დაშლაზე გავყავდი, მცემდნენ და შემდეგ შემოვყავდი უკან. ასე იყო ცნობილი, რომ მეგუთნიშვილი დაბლა უნდა ყოფილიყო. 16 დღე-ღამე არ მეძინა, შეიძლება, ერთადერთი კედელზე ხელი მიმედო და ისე მივყუდებულიყავი, იქ ვერ დაიძინებდი, შუქი სულ ენთო, ან სად უნდა დაგვეძინა, საწოლებზე მორიგეობით წვებოდნენ და საწოლი ერქვა რკინის დაწნულ ბადეს. ამ დროის განმავლობაში 32 კილო დავიკელი. 16-17 დღის გასვლის შემდეგ, ამომიყვანეს საკანში. E კორპუსი იყო, საკანი N72. იქ ხუთი პატიმარი დამხვდა, მომეხმარნენ ბიჭები, გამომაცვლევინეს, შეძლებისდაგვარად მოვწესრიგდი.**

**დილა გათენდა, ჯერ იმ ბიჭებთან დალაპარაკებულიც არ ვიყავი, კარი გაიღო და ოთხი შავ ფორმებში ჩაცმული, ნიღბიანი კაცი შემოვიდა, მეგუთნიშვილი რომელიაო და რატომღაც ჩავთვალე, ალბათ მიშვებენ-მეთქი და მე ვარ-მეთქო. შენ გვერდზე „კამერაზე“ რა გადაძახილი გქონდაო, ჩამიყვანეს „ფუქსებში“ და დაიწყო იქ ჩემი წამება.**

**შემდეგ კუდ-ში რომ მოვხვდი, ციხიდან როცა გამოვედი, იმ ფაშისტებში რომ მოვხვდი, ჩვენ ვაკონტროლებდით ყველაფერსო. ორ კვირაზე მეტი ისევ კარანტინში ვიყავი, „ფუქსებში“ ვიყავი სამი დღე, სადაც დაბმულიც ვიყავი – დაბლა სულ ბეტონია და პატივი იყო, თუ იქ „ფლოსტებზე“ დაგსვამდნენ, ხელებს უკან გაგაშვერინებდნენ და ბორკილებით გაბამდნენ.**

**„შლემიც“ მეფარა, რომ თვითდაზიანება აღარ მიმეყენებინა, ვეღარ ვუძლებდი ფიზიკურად. ერთხელ ისე მცემეს, გონება დავკარგე, როგორც შემდეგ მითხრეს, ექიმი შემოვიდა და შარვლის ტოტები ამიწია, კუნთებზე ნემსები მიკეთა, არ ვიცი, რას ამოწმებდა, ალბათ მკვდარი ვიყავი, თუ ვსიმულანტობიდი. მთელი ფეხები გაშავებული მქონდა“,** – განაცხადა **ალექსანდრე მეგუთნიშვილმა.**



**რუსუდან შარაძე:**

# გურამ შარაძის მკვლელობის სცენარი წინასწარ იყო მოფიქრებული, დადგმული და შესრულებული...

**აკადემიკოს გურამ შარაძის შვილმა, რუსუდან შარაძემ 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიაზე** განაცხადა, რომ 2007 წლის 20 მაისს მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩების კუთხეში, 18 ნომერთან გურამ შარაძე მოკლეს სამი გასროლით.



**„სამი ტყვია თავში – პირველი იყო უკნიდან კეფაში, პირველივე სასიკვდილო და შემდეგ იქვე ჩაკეცილზე საფეთქელზე ორი საკონტროლო გასროლა დაახალეს. „ალდაგი“არის სადაზღვევო კომპანია, რომელიც იმ დროს განთავსებული იყო ზუსტად იმ ადგილას, ჰქონდა ხუთი კამერა. ორი კამერა ეყენა მელიქიშვილზე, რომელშიც გამოჩნდნენ მამაჩემი და მკვლელი, ორივე კამერაზე, ოღონდ სხვადასხვა რაკურსით.**

**ორი ჯანაშიაზე ეყენა და ერთი შანიძის ქუჩაზე. ეს ადგილი სპეციალურად, შეგნებულად იყო შერჩეული, რომ გურამ შარაძე ზუსტად იმ ადგილას, იმ კამერების წინ უნდა მოეკლათ. ჩვენი ოჯახის მიმართ ხორციელდებოდა თვალთვალი, ძალიან დიდი ხანი. ზეპირად იცოდნენ მამაჩემის განრიგი. გურამ შარაძე იყო ძალიან მოწესრიგებული კაცი, განსაკუთრებით საქმეში ძალიან პუნქტუალური, გაწერილი გრაფიკით. ყოველ კვირა დღეს მთელი ცხოვრება მუშაობდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საღამოობით, ვინაიდან უყვარდა ვარჯიში, მოძრაობა, ყოველთვის ბრუნდებოდა ფეხით.**

**გარდა ეროვნული ბიბლიოთეკისა, კვირა დღეს „ასავალ დასავალში“ იბეჭდებოდა მისი „ასი წერილი ქართველ ერს“. 33 წერილის დაწერა მოასწრო, ესე იგი, 33 კვირა დღე იქ გაიარა. ორშაბათს გამოდიოდა გაზეთი და ყოველთვის გადაიკითხავდა კვირა დღეს, სხვანაირად გამორიცხული იყო. ბარათელსაც ყოველ დღე უთვალთვალებდნენ, ის შემთხვევით იქ არ მოხვედრილა. გიორგი ბარათელი გახლავთ მკვლელობაში ეჭვმიტანილი მსჯავრდებული, რომელმაც სასჯელი მოიხადა. ბარათელს პოლიცია უთვალთვალებდა, რასაც პოლიცია არ მალავს. საქმეში დევს ამის მტკიცებულებები. მამაჩემი მოკლეს 20 მაისს და ვითომ 5 მაისს გიორგი ბარათელი საკუთარ ექიმს, გვარად ტირზიკიანს სახლში მიუვარდა და მსუბუქად დაჭრა. ეს არის ოფიციალური ვერსია. ვთქვათ დაჭრა ან რაღაც შეურაცხყოფა მიაყენა, საკაშვილის პოლიცია 5 მაისიდან 20 მაისამდე ბარათელს აკვირდებოდა? როგორ წარმოგიდგენიათ, 5 მაისიდან 20 მაისამდე უთვალთვალებდნენ და ხელს არ ჰკიდებდნენ“,** – განაცხადა **რუსუდან შარაძემ.**

ამასთან, რუსუდან შარაძის განცხადებით, „ალდაგის“ორივე კამერა ერთმანეთის მიმართულებით იყურებოდა ვაკისკენ და ამით დამალეს მკვლელის სახე.

**„მოგეხსენებათ, კამერების, ვიდეოთვალის მთავარი დანიშნულებაა, ეყენოს ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით, რომ გააკონტროლდეს პარამეტრი ყველა მხრიდან. მკვლელობის მომენტში, მელიქიშვილზე „ალდაგის“ორივე კამერა ერთმანეთის მიმართულებით იყურებოდა ვაკისკენ. ამით დამალეს მკვლელის სახე. მკვლელი რომ კადრში შემოდის, ის მხოლოდ ჩანს ზურგიდან. ჩვენთვის ესეც საკმარისია, მაგრამ თავად ეს გააკეთეს, შემთხვევით ვერ მოხდებოდა. მესამე კამერა, რომელიც ეყენა შანიძის ქუჩაზე და წესით უნდა ეკონტროლებინა გზა, იყო შეტრიალებული ტროტუარისკენ, ჩანს სადარბაზოები და საცხოვრებელი სახლი. ზუსტად ამ გზაზე აირბინა მკვლელმა და დამალეს. ეს ფაქტები შემთხვევით ვერ მოხდებოდა.**

**„ალდაგის“ უსაფრთხოების სამსახური, რომელიც 2007 წელს ფუნქციონირებდა, არის გურამ შარაძის მკვლელობის მონაწილე, შეიძლება მთელი შემადგენლობით არა, მაგრამ ნაწილი მაინც. და ბატონი დათო გამყრელიძე რომ გამოდის და არა რუსულ კანონს ყვირის, სჯობს, ის მოიძიოს და მოიკითხოს, მის ოფისში როგორ კლავდნენ გურამ შარაძეს, უფრო სწორად, მონაწილეობდნენ გურამ შარაძის მკვლელობაში. თუ არ მისმენს, გადაეცით დათო გამყრელიძეს, მის კომპანია „ალდაგში“ არიან გურამ შარაძის მკვლელები“,** – აღნიშნა **რუსუდან შარაძემ.**



**31 მაისს „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“ ამოქმედდება, რომელსაც ანტიკორუფციული ბიურო აღასრულებს. კანონი, რომელიც არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებს ეხება, „ქართული ოცნების“ შეფასებით, ამერიკული „ფარას“ ქართული ანალოგია. როგორც ცნობილია, კანონპროექტი მესამე მოსმენით პარლამენტმა 1 აპრილს მიიღო, ამოქმედებისთვის კი 60 დღეა განსაზღვრული მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ხელს მოაწერს. დოკუმენტზე მიხეილ ყაველაშვილის ხელმოწერა ასევე 1 აპრილით თარიღდება.**






# ქართული „ფარა“ 31 მაისს ამოქმედდება!

## რა ფუნქციას შეასრულებს კანონი და რა ახალ შეზღუდვებს გამოიწვევს ის?!

**– თუ დასჭირდება ხელისუფლებას, იმოქმედებს ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის,** – გვითხრა ანალიტიკოსმა **ვახტანგ ძაბირაძემ** კანონის შესახებ კომენტირებისას.

**ჩნდება კითხვა, რა ფუნქციას შეასრულებს „ფარა?“ – „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტის“ დარღვევა, გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე ვადით, იურიდიული პირი კი ისჯება ჯარიმით. კანონის აღმასრულებელი ანტიკორუფციული ბიურო იქნება, რომელმაც აპრილში განაცხადა, რომ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ 2025 წლის 31 მაისიდან ამოქმედდება.**

კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე** For.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ „ფარას“ კანონი არაკონსტიტუციურია და ის არღვევს ადამიანის უფლებებს. მისივე შეფასებით, თუ ამ კანონის ფარგლებში, კონკრეტული ორგანიზაციების მიმართ ერთგვარი რეპრესიები დაიწყება, ამას დასავლეთის მხრიდან შესაძლოა შესაბამისი რეაქცია მოჰყვეს.



**„ამ კანონით ირღვევა ბევრი რამ, მათ შორის კონსტიტუციასთან თავსებადობა – ეს კანონი არის რეპრესიული. თუ ამას დავუმატებთ ახლადმიღებულ კანონებს, ეს ყველაფერი ერთად ქმნის არა მხოლოდ მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შემდგომი მუშაობის შეუძლებლობის ზღვარზე არსებობას, არამედ სხვა არაერთი, ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვისაც, ვინც ამა თუ იმ სახით იღებს დაფინანსებას უცხოეთიდან, ერთგვარ შეზღუდვებს. ასე რომ, ეს კანონი არის სრულიად არადემოკრატიული, თავისუფლების შემზღუდველია, მათ შორის გამოხატვის თავისუფლების, განათლების თავისუფლების და კიდევ ბევრი არაერთი რამის.**

**ერთ-ერთი მიზეზი დემოკრატიულ დასავლეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ურთიერთობების ფაქტობრივი შეწყვეტისა ეს კანონიც გახლდათ. ასე რომ, ახლა რაიმე ახალი რეაქცია დასავლეთს ამ კანონის ამოქმედების გამო არ ექნება, მაგრამ თუკი დაიწყეს ამ კანონის აღსრულება, ანუ კონკრეტული ორგანიზაციების მიმართ რეპრესიების გატარება, ამასაც მოჰყვება შესაბამისი რეაქცია. ისედაც გაფუჭებული ურთიერთობა დასავლეთთან კიდევ უფრო დამძიმდება“,** – განგვიცხადა **ვახტანგ ხმალაძემ.**

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი **რაჟდენ კუპრაშვილი** ამბობს, რომ „ფარა-ს“ კანონში არანაირად არ არის საუბარი რაიმე სახის შეზღუდვების დაწესებაზე, პირიქით – „ეს კიდევ უფრო მეტად გააჯანსაღებს იმ პროექტების წარმოჩენას, რაც დონორი ორგანიზაციების ხელით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში“.

როგორც კუპრაშვილი ამბობს, „ფარას“ კანონი უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და რაიმე სახის სამუშაოების შეზღუდვასთან არანაირად არ



არის კავშირში. მისი თქმით, ბიურო აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით „ყველა დაინტერესებულ მხარესთან“ სამუშაო შეხვედრებს ჩაატარებს.

**„აგენტის“ განმარტება კანონშია მითითებული. ჩვენ გვაქვს ძალიან საინტერესო შეხვედრები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ვინაიდან ძალიან დიდი ინტერესი იყო ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჩვენ მოგვიწია სამუშაო შეხვედრების რამდენიმე დღის დამატება“,** – განაცხადა **რაჟდენ კუპრაშვილმა.**

**ნიკო ჩოხელი**

# მსოფლიო გადანაწილებიდან საქართველო უმსხვერპლოდ გამოვა!

(მეორე გვერდიდან)



ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, ორი ზესახელმწიფოს ლიდერების სატელეფონო საუბარმა მკაფიო გახადა ის, რომ ომი უკრაინაში მალე დასრულდება. აქედან გამომდინარე, დღევანდელ ლიბერასტულ-ფაშისტურ ევრობიუროკრატიას დიდი დრო არ უწერია. გვენეტაძე დარწმუნებულია, რომ უკრაინის ომის დასრულებიდან მოკლე ხანში დღევანდელი ევრობიუროკრატია ხუხულასავით ჩამოინგრევა.

**„დღევანდელი ევრობიუროკრატია ამ ომზე დგას, ამ ომით აკეთებს ფულს და იხანგრძლივებს სიცოცხლეს. აშშ-ის გარეშე ეს ომი კატასტროფულად დამთავრდება ევრობიუროკრატიისათვის, ვინაიდან მთავარი მოქმედი ამ ომში იყო და არის ვაშინგტონი. უბრალოდ, როგორც კი შეწყვეტს ოვალური კაბინეტი სადაზვერვო ცნობების მიცემას კიევისათვის, უმალ ფონ დერ ლაიენ-ზელენსკის ხროვა იმ ქვეყნად გაემგზავრება როგორც პოლიტიკურად, ისე, დიდი ალბათობით, ფიზიკურადაც. ამის ნიშანი უკვე გამოკრთა ურსულას მიმართ – „ფაიზერზე“ გაცოცხლებული საქმე...**

**თეა წულუკიანის საგამოძიებო კომისია უვერტიურაა ევროგიუროკრატიისათვის. სულ მალე ნახავთ ევროპის ცენტრებში, თუ რა საქმეები აღიძვრება ბრიუსელელ მაღალჩინოსნებზე და რა სასამართლო პროცესები დაიწყება. მოიმარაგეთ პოპკორნი ისე, რომ იცოდეთ წვეთი წყალივით ჰგავს 2008 წლის აგვისტო და 2022 წლის 22 თებერვალს დაწყებული და დღემდე უკრაინაში მიმდინარე ომები ერთმანეთს. სახელდობრ, 2008 წელს არავინ არ შეჰკითხვია მიშას ომის დასრულებას. აშშ-მა გამოაგზავნა სარკოზი მოსკოვში და დასრულდა ომი. იგივეა ახლაც.**

**კაციშვილი არ ეკითხება სააკაშვილის კლონ-კლოუნ ზელენსკის, ბალი შაური თუ ათი შაურია... ამ ომის რეალურმა მონაწილეებმა მოილაპარაკეს, გაიყვეს ნადავლი და სრულდება გადანაწილება. ამიტომაც აყეფდნენ აქაური მეხუთეკოლონელები, ვინაიდან ხედავენ, რომ მათი ბედი გადაწყვეტილ-განწირულია. მათ საქართველოს წინაშე ჩადენილი დანაშაულებისათვის უეჭველად ელით ხანგრძლივი „ვირის აბანოები“. მსოფლიო გადანაწილება უმოკლეს პერიოდში დასრულდება, საიდანაც საქართველო საერთოდ მსხვერპლის გარეშე გამოდის“,** – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**




**თამთა ქარჩავა**

# პატივმება ოთარ ფაცაციას




**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 15 მაისს ზუგდიდში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების მფლობელის ოთარ ფაცაციას ბიუსტი.**

ბიუსტის გახსნას ოთარ ფაცაციას ოჯახის წევრები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ხელმძღვანელები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები, ცაიშისა და ზუგდიდის მიტროპოლიტი გერასიმე, ადგილობრივი საზოგადოების რჩეული წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ოთარ ფაცაციას დაუვიწყარი სახელის და ხსოვნის პატივგების (გარდაიცვალა 2021 წელს) ძეგლის შექმნის იდეის სულისჩამდგმელი და ფინანსურად უზრუნველმყოფი გახლავთ საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სააქციო საზოგადოება „ არქეოპოლისის“ დირექტორი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ზუგდიდის, სენაკის და მარტვილის საპატიო მოქალაქე, სამეგრელოს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დემურ გადელია.**

ბიუსტის გახსნა მისი შექმნის ინიციატორთან ერთად, წილად ხვდა ზუგდიდის მერს ბატონ **მამუკა წოწერიას**. მანვე მოკლედ ისაუბრა ოთარ ფაცაციას ღვაწლზე სამეგრელოს მხარის, ზუგდიდის რაიონის და მთელი საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური ყოფის განვითარების საქმეში.

სახელდახელო სიტყვები წარმოთქვეს გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ, მეცნიერმა და მკვლევარმა **ნოდარ ჭითანავამ,** საზოგადოება „სტალინის“ დამფუძნებელმა და უცვლელმა თავმჯდომარემ, ცნობილმა პუბლიცისტმა და პოლემისტმა **გრიგოლ ონიანმა,** საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარემ **მურმან ნაჭყებიამ,** სახელმწიფო მოღვაწემ და სამეურნეო დარგის აღიარებულმა პროფესიონალმა **გურამ გუნავამ**, აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა **დავით ფაცაციამ.**

ყველა გამომსვლელმა ერთხმად მოიწონა მოქანდაკე **თენგიზ აბრამიშვილის** ნამუშევარი (**„ეს ნამდვილი ოთარ ფაცაციაა“!)** და ქველმოქმედების, უანგარო თანადგომის და უფროსი მეგობრის ღვაწლის დაფასების ნიჭი შეუქო ძეგლის დადგმის თაოსანს დემურ გადელიას...

**გია ოდიშარია,** ზუგდიდი-თბილისი.





# უკადრებლის კადრებასაც აქვს საზღვარი!

## უფლის გეშინოდეთ, მჯღაბნელებო!

**საზოგადოება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 19 მაისს აქვეყნებს ტენდენციურ ინფორმაციას, რომ სენაკის მერი ვახტანგ გადელია ტენდერების მოგებაში ხელს უწყობს მის ბიძასა და ბიძაშვილს.**

**ეს აშკარად მიკერძოებული, „სენსაციური“ ტყუილი, როგორც მოსალოდნელი იყო, აიტაცა რადიკალური ოპოზიციის ტელევიზიებმა და შავი ფერებით შემოსეს კიდევ ერთი ყალბი მონაჩმახი.**

**ცხადია, პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად, ოპოზიცია ხელისუფლებასა და მის ადგილობრივ ორგანიზაციებში დღემდე ეძებს ნაკლოვანებებს, ცდილობს, თითიდან გამოწოვილ ჭორებს რეზონანსული იერსახე მისცეს.**

ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად მატულობს წარმატებული ადამიანების საქმიანობის განქიქება და ლაფის სროლა.

სენაკელები ორ წელიწადზე მეტია ერთსულოვნად ამბობენ, რომ ვახტანგ გადელია სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული მერია, ის გახლავთ ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელე, საქმიანი ადამიანი, რომელიც საკუთარ ენერგიას მშობლიური მუნიციპალიტეტის შენებასა და კეთილმოწყობას ახმარს.

ის გახლავთ მოზომილი, თავაზიანი, თანაც უაღრესად პრინციპული ახალგაზრდა, რომელიც ხშირად სთავაზობს მოსახლეობას დიალოგს და იცის მოსმენა. ეხმარება ყველას და არასოდეს არჩევს ნათესავს და ახლობელს!

სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, შინაგანი დისციპლინა, თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნება გახლავთ ვახტანგ გადელიას „კოზირი“ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ამოსავალი ქვაკუთხედი.

**განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მთელი გუნდი, ძირითადად, ახალგაზრდულია და ვახტანგ გადელიას სწორი გზით მიჰყავს თავისი თანამოაზრეები. სენაკელებს გულწრფელად გვიხარია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე რაიონია მთელ საქართველოში.**

მახსენდება ნოდარ დუმბაძის სიტყვები: „ღირსება პერანგი არ არის, რომ, ვინმემ გაგხადოს ან ძალით ჩაგაცვას, ის სულიერი სამოსელია... დღეგამოშვებით ვერ იქნები ღირსეული ან უღირსი, ღირსეული ან სამუდამოდ ხარ, ან არასოდეს“

საქართველოს დამსახურებული მშენებლის დემურ გადელიას საწარმოო-სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისი“ ორმოცდაათი წელია ფუნქციონირებს. მისი დაუღალავი რუდუნებით, ორგანიზაცია იქცა თანამედროვე, უახლესი ტექნიკით შეიარაღებულ დაწესებულებად, რომელიც სამუშაოებს დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონში აწარმოებს.

ამასთან, ბატონი დემური ორი ეპოქის შვილია. იგი არასდროს ყოფილა ხელისუფალთა მორჩილი, მუდამ თავისი საქმით და პრინციპულობით იყო გამორჩეული.

გასაკვირია პირდაპირ, რა, სენაკში სამუშაოები იმერეთიდან ან გურიიდან შემოსულმა კომპანიებმა უნდა აწარმოონ? როცა აქვე, სამეგრელოს გულში შესანიშნავი ორგანიზაციაა. ამასთან, ამჟამინდელი მერიის და საკრებულოს პირობებში კი არ იგებს „არქეოპოლისი“ ტენდერს, არამედ 50 წლის განმავლობაში სენაკში მომუშავე გამგებლების და მერების დროიდან ასეა!

რა შუაშია ამჟამინდელი სენაკის მერი ვახტანგ გადელია. სხვა ხელმძღვანელი რომ ყოფილიყო, მუდამ სიტყვის პატრონი „არქეოპოლისი“ ვერ მოიგებდა ტენდერებს? განა ხობში, ფოთში, მარტვილში, ზუგდიდში, მესტიაში, ლანჩხუთში, აბაშაში, ჩხოროწყუში და ასე შემდეგ, მისი ძმისშვილები მუშაობდნენ ან მუშაობენ?

დემურ გადელიას კომპანია ტენდერებს კონკურსის პირობების სრული დაცვით იგებდა და იგებს, რადგანაც სამუშაოებს მუდამ მაღალხარისხიანად ასრულებდა და ასრულებს.

დემურ გადელია არის ადამიანი უშრეტი ენერგიით, მაღალი პროფესიონალიზმით... არის საოცრად კომუნიკაბელური, ავკარგიანი კაცი. კაცი, რომელსაც შეუძლია ბოროტებას სიკეთე შეაგებოს!

რაც შეეხება იმას, რომ მისი ძმისშვილი ვახტანგ გადელია აირჩია მოსახლეობამ სენაკის მუნიციპალიტეტის მერად, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება გამოდგა.

ჩასაფრებული მჯღაბნელების გამო ბატონი დემურ გადელია ვერ მიატოვებდა მის მიერ დაფუძნებულ „არქეოპოლისს“, უმუშევრად ვერ დატოვებდა ასობით ადამიანს. ვერ გააჩერებდა დანადგარებს, ჟანგისთვის ვერ გაიმეტებდა ათიათასობით დოლარად საზღვარგარეთ შეძენილ ტექნიკას.

სარეველად ვერ აქცევდა იმ საწარმოს ტერიტორიას, რომელიც დიდი ხანია თითით საჩვენებელი და სანიმუშოა.

„არქეოპოლისი“ ხომ, ვიმეორებ, ნახევარი საუკუნეა, მთელ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის აღმშენებელი საწარმოა, დემურ გადელია კი – ამ აღმშენებლობის სულისჩამდგმელი...

თქვენ გაქვთ სენაკის მადლიერი საზოგადოების მხარდაჭერა, ბატონო დემურ, უფალმა ნუ მოგიშალოთ შემართება, სიმტკიცე და მიტევების უნარი!

ამ ძალად მაცხონე კრიტიკოსებსაც შეუნდეთ, ბატონო დემურ!



**ბორის დავითაია,**
პუბლიცისტი,
სენაკი.

**„არქეოპოლისი“ ნახევარი საუკუნეა, მთელ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის აღმშენებელი საწარმოა, დემურ გადელია კი — ამ აღმშენებლობის სულისჩამდგმელი... თქვენ გაქვთ სენაკის მადლიერი საზოგადოების მხარდაჭერა, ბატონო დემურ, უფალმა ნუ მოგიშალოთ შემართება, სიმტკიცე და მიტევების უნარი!**

# უნივერსიტეტის ქუჩა ახალი გვირაბით დაუკავშირდა პეტრე ქავთარაძის ქუჩას...



ვაკის რაიონში უნივერსიტეტისა და პეტრე ქავთარაძის ქუჩების დამაკავშირებელი საავტომობილო გვირაბის მშენებლობა დასრულდა. გვირაბი თბილისის მერმა კახა კალაძემ პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე, ვაკის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ტყემალაძესთან ერთად გახსნა.



**ახალი გვირაბი იწყება უნივერსიტეტის ქუჩაზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. მაღლივი კორპუსის მიმდებარედ და მიხეილ შავიშვილის ქუჩის გავლით, პეტრე ქავთარაძის ქუჩას უკავშირდება. გვირაბში გათვალისწინებულია ავტოტრანსპორტის ორმხრივი მოძრაობა – თითო ზოლი თითოეული მიმართულებით.**

დედაქალაქის მერმა პრემიერ-მინისტრს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მმართველი გუნდის თანადგომით, ქალაქში კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

**„დედაქალაქისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი დავასრულეთ. სამუშაოების პირველი ეტაპი იყო საავტომობილო ხიდის მშენებლობა, რომელიც უნივერსიტეტის ქუჩასა და ბაგების დასახლებას ერთმანეთთან დააკავშირებდა. მეორე ეტაპი იყო გვირაბის მშენებლობა, რომელიც უნივერსიტეტის ე.წ. მაღლივი კორპუსიდან იწყება და შავიშვილის ქუჩის გავლით, უკავშირდება ქავთარაძის ქუჩას. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც პროექტში იღებდა მონაწილეობას – სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებს; ჩემს მოადგილეს, ირაკლი ბენდელიანს, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა აღნიშნულ სამუშაოებს; ვინც დააპროექტა და ა.შ. მომავალში კიდევ ბევრი სამუშაო, ახალი პროექტები გვაქვს დაგეგმილი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი დედაქალაქი იქნება კიდევ უფრო მოწესრიგებული, გამწვანებული და ლამაზი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი პროექტი განვახორციელეთ, ცხადია, ჯერ კიდევ გვაქვს გამოწვევები, მაგრამ მათ არ ვუშინდებით – ძალიან დიდი მხარდაჭერაა გუნდის მხრიდან, რომ ჩატარდეს ისეთი სამუშაოები, რაც ქალაქს უკეთესობისკენ შეცვლის“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

პროექტის ფარგლებში, მოეწყო მისასვლელი და გამოსასვლელი პანდუსები, ტროტუარი, სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემები, ასევე, დამონტაჟდა გარე და გვირაბის შიდა განათების თანამედროვე LED სისტემა. უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, გვირაბის მიმდებარედ აშენდა ფერდის დამცავი რკინაბეტონის კედლები.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა მიხეილ შავიშვილის ქუჩაზეც, რომელიც სრულად რეაბილიტირდა. შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები – წყალმომარაგების, წყალარინებისა და სანიაღვრე ქსელები. ელექტროსადენები მიწისქვეშ განთავსდა, განახლდა გზის საფარი, მოეწყო ტროტუარი, საპარკინგე სივრცეები და საგზაო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, დამონტაჟდა შუქნიშნები, საგზაო ნიშნები და დაიხაზა გზის სავალი ნაწილი. ტერიტორიაზე ასევე, ჩატარდა გამწვანების სამუშაოები და ინფრასტრუქტურა ადაპტირდა შშმ პირებისთვის.

გვირაბის მშენებლობა და შავიშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები დედაქალაქის ბიუჯეტიდან 15 მილიონი ლარით დაფინანსდა. პროექტი ხელს შეუწყობს დედაქალაქის სატრანსპორტო ქსელის განვითარების დინამიკას და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გადაადგილების ხარისხს.

ვაკისა და საბურთალოს რაიონების დაკავშირება თანამედროვე ინფრასტრუქტურული სტანდარტების შესაბამისი გვირაბითა და განახლებული ქუჩით, მნიშვნელოვნად შეამცირებს გადაადგილების დროს და საგზაო დატვირთვას, ასევე, უზრუნველყოფს ტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას.

**აღსანიშნავია ისიც, რომ გვირაბის მიმდებარედ ხორციელდება უკუშევსების სამუშაოები, რის შემდეგაც გვირაბის თავზე მოეწყობა ე.წ. მაღლივ კორპუსთან მისასვლელი გზა და ტერიტორია აღდგება პირვანდელი სახით. აღნიშნული სამუშაოები ივნისის დასაწყისში დასრულდება. ახლად გახსნილი გვირაბი დედაქალაქის მერთან ერთად, მერის მოადგილეებმა – ირაკლი ბენდელიანმა და ანდრია ბასილაიამ, თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა, ასევე, პარლამენტისა და საკრებულოს წევრებმა დაათვალიერეს.**

## თბილისის ვიცე-მერი გიორგი ტყემალაძე გახდება



**თბილისის ვიცე-მერი გიორგი ტყემალაძე იქნება, რომელიც აქამდე დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს იკავებდა,** – ამის შესახებ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე თბილისის **მერმა კახა კალაძემ** განაცხადა.

**„მინდა, ვიცე-მერის პოსტზე წარმოგიდგინოთ ადამიანი, რომელსაც დიდი წარდგენა არ სჭირდება. ის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერია – წლებია ჩართულია ყველა იმ საქმიანობაში, რასაც ქალაქის განვითარება და აღმშენებლობა ჰქვია. მინდა, წარმოგიდგინოთ გიორგი ტყემალაძე. ის ორი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე გახლავთ. ყველა პროექტი, რაც ხორციელდება და გაკეთდა დედაქალაქში, რა თქმა უნდა, საკრებულოს და უშუალოდ გიორგის მონაწილეობით განხორციელდა. დარწმუნებული ვარ, მისი კვალიფიკაცია, მისი ჩართულობა, დაგვეხმარება და გავაგრძელებთ იმ წამოწყებულ მნიშვნელოვან საქმეებსა და პროექტებს. მინდა, მას წარმატება ვუსურვო ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე. საკმაოდ ამბიციური გეგმები გვაქვს. გიორგიმ კარგად იცის, თვითმმართველობას რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს“,** – განაცხადა **კალაძემ.**

აქვე, დედაქალაქის მერმა გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა აწ უკვე ყოფილ ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძეს და წარმატებები უსურვა.

**„მადლობას ვუხდი ირაკლი ხმალაძეს გაწეული შრომისთვის. ჩვენ 2017 წლიდან ერთად მოვდივართ, ერთად დავიწყეთ მუშაობა მუნიციპალიტეტის თემებზე, ერთად ჩავატარეთ საარჩევნო კამპანია. მანამდე, ენერგეტიკის სამინისტროში ვმუშაობდით ერთად. ის შორს არ მიდის, ჩვენს მეგობარ უწყებაში გადავიდა იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე. იუსტიციის სამინისტროსთან ვთანამშრომლობთ. ქალაქისთვის მნიშვნელოვან ერთობლივ პროექტს ვახორციელებთ, სისტემური რეგისტრაციები მაქვს მხედველობაში. ირაკლი პროფესიით იურისტია. მან მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. დარწმუნებული ვარ, იუსტიციის სამინისტროშიც თავის შესაძლებლობებს გამოავლენს და ყველაფერს გააკეთებს, რომ აღნიშნული სამინისტრო იყოს წარმატებული“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

## დავით სონღულაშვილი: კერძო სექტორის განსავითარებლად მნიშვნელოვანია უკუკავშირი მწარმოებლებს, ფერმერებსა და სახელმწიფოს შორის



**სახელმწიფო პროგრამების დასახვეწად და კერძო სექტორის განსავითარებლად მნიშვნელოვანია უკუკავშირი მწარმოებლებს, ფერმერებსა და სახელმწიფოს შორის,** – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **დავით სონღულაშვილმა** განაცხადა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, დავით სონღულაშვილი ქვემო ქართლსა და კახეთში იმყოფებოდა, სადაც სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილი საწარმოები და გაშენებული ბაღები დაათვალიერა. მინისტრი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებით მოსარგებლე ფერმერებს და მეწარმეებს შეხვდა.

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ადგილზე გავეცნოთ ყველა იმ პროექტს, რომლებიც სახელმწიფოს დაფინანსებით განხორციელდა, შევხვდეთ მეწარმეებს და ფერმერებს, რომლებიც მხარდაჭერით სარგებლობენ და ვნახოთ, რამდენად წარმატებულები არიან, ვნახოთ, სახელმწიფოსგან რა ხელშეწყობა შეიძლება დამატებით დასჭირდეთ იმისათვის, რომ კიდევ მეტად განავითარონ საქმიანობა. ეს არის ღირებულებათა ჯაჭვის სრულად შექმნის და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტი“,** – განაცხადა **დავით სონღულაშვილმა.**

როგორც მინისტრმა აღნიშნა, რეგიონებში მწარმოებლებსა და ფერმერებთან შეხვედრები ინტენსიურად გაგრძელდება. პირდაპირი კომუნიკაციით სამინისტრომ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღოს, თუ რა საჭიროებები არსებობს, რაში დაუდგეს სახელმწიფო მეწარმეებს და ფერმერებს გვერდში, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი, რომელიც ჩვენ ქვეყანას აქვს, კიდევ უფრო მეტად დაჩქარდეს.

## ხანძრის შედეგად დაზარალებულებს 300 000 ლარზე მეტი ღირებულების ფასეულობები ჩამოეწერათ!

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გაცნობებთ, რომ საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, სადგურის მოედნის ბაზრობის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზარალებულებს 300 000 ლარზე მეტი ღირებულების განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები უკვე ჩამოეწერათ,** – ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

**„აქვე განვმარტავთ, რომ დაზარალებული მეწარმეების მიერ, შემოსავლების სამსახურის გადამხდელის ავტორიზებული გვერდიდან განცხადებით (დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განადგურებული/დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა) მომართვის შემთხვევაში, მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე 10 სამუშაო დღის ვადაში, მოხდება ხანძრის ზემოქმედების შედეგად განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა.**

**ამასთან შეგახსენებთ, რომ შემოსავლების სამსახური განმარტავს, რომ განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერით, დაზარალებულ პირებს განადგურებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოეშვებათ.**

# ვიქტორია სირაძე

**წიგნი „ხსოვნის სიცოცხლე, ეპოქის ღირსშესანიშნავ მოღვაწეთა გახსენება“ ვიქტორია სირაძემ მიუძღვნა იმ თვალსაჩინო მამულიშვილების ხსოვნას, რომლებთანაც მას მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებდა. წიგნი მის გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე გამოვიდა. საგულისხმოა, რომ სწორედ მისივე ღრმა შინაარსის მქონე წიგნის სათაურის წანამძღვრებით ვიხსენებთ ქალბატონ ვიქტორიას.**

**გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ქალბატონმა ვიქტორიამ გადმომცა პირადი არქივი, წერილები და სხვა მასალები, რომლებშიც ასახულია მისი სახელმწიფო – პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობა. მასალების გაცნობის შემდეგ ქალბატონ ვიქტორიასთან შეთანხმებით, დავიწყე მუშაობა პუბლიკაციაზე. მინდოდა მისი დაბადებიდან 95-ე წლის იუბილესთვის, 24 მაისისთვის, საზოგადოებისთვის გამეცნო, თუ საიდან დაიწყო და როგორ იმოღვაწა უმაღლეს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობებზე ისე, რომ სამეცნიერო საქმიანობასთან კავშირი არ გაეწყვიტა. მასალების გაცნობის პროცესში, საკითხების დასაზუსტებლად ქალბატონ ვიქტორიას ხშირად ვუკავშირდებოდი. 2024 წლის 22 თებერვალს ერთ-ერთი მორიგი შეკითხვის მიზნით, მასთან განხორციელებული ზარი უპასუხოდ დარჩა...**

1947 წელს ქალაქ თბილისის მესამე ქალთა საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, ვიქტორია სირაძე ჩაირიცხა იმჟამად სერგეი კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. პირველ კურსზე მეცნიერული კვლევებით დაინტერესებული სტუდენტი არჩეული იყო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრად, აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის სამეცნიერო წრეებში: „უმაღლესი მათემატიკა“, „ანალიტიკური ქიმია“, „სილიკატების ტექნოლოგია“. 1949 წელს მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა პირველ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაში, როგორც ზოგადი ტექნიკური სექტორის თავმჯდომარემ, სადაც ორი მნიშვნელოვანი მოხსენებით წარდგა: „მრეწველობაში ატომური ენერგიის გამოყენების პრობლემა“ და „ინდიკატორების თეორია“. 1951 წელს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების პოლიტექნიკური და ინდუსტრიული უმაღლესი სასწავლებლების პირველ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება „თბილისის კერამიკულ კომბინატში წვეთოვანი მასის შემადგენლობის დადგენის შესახებ“, როგორც ქიმიურ-ტექნოლოგიური სექციის ხელმძღვანელმა. აღნიშნულის გამო, წარჩინებული სტუდენტი საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ დააჯილდოვა.

წარმატებული სტუდენტი ვიქტორია სირაძე სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის სტუდენტთა საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1949 წელს არჩეულ იქნა ინსტიტუტის მრავალათასიანი კომკავშირული (ახალგაზრდული) ორგანიზაციის მდივნის (მოადგილედ, ხოლო 1951 წელს – ინსტიტუტის სტუდენტი-ახალგაზრდობის ლიდერად, კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. სტუდენტობის პერიოდში არაერთხელ იყო არჩეული თბილისის რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

1952 წელს ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დაასრულა და იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში სპეციალობით – „სილიკატების ტექნოლოგია“ (პროფესორ კონსტანტინე ქუთათელაძის ხელმძღვანელობით). ასპირანტურის გეგმით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი 1955 წელს დაასრულა, მაგრამ დისერტაციის დაცვა ვერ შეძლო, რადგან ასპირანტურაში სწავლის პერიოდში არჩეული იყო მაღალ თანამდებობებზე, კერძოდ, 1952 წელს, 23 წლის ასაკში ჯერ, კომკავშირის თბილისის სტალინის (დიდუბის) რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად, შემდგომში, იმავე წელს, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1953 წელს – დედაქალაქის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1954 წელს, 25 წლის ასაკში, ქალბატონი ვიქტორია აირჩიეს თბილისის ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო რაიონის ხელმძღვანელად – პარტიის თბილისის კიროვის (კრწანისის) რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად. შემდეგ ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის (ვაკე-საბურთალოს) რაიონის ხელმძღვანელად, სადაც განლაგებული იყო ქვეყნის თითქმის ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. შემდეგ ჰქონდა წარმატებული კარიერა ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო- პოლიტიკურ თანამდებობებზე. იყო ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი. 1961წელს, 32 წლის ასაკში, მას გამოუცხადეს დიდი ნდობა და არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ორი წლის შემდეგ დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1973 წელს რესპუბლიკაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, მეორედ იქნა არჩეული საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნად.



## ეპოქის ღირსეული სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერ-მკვლევარი

აღნიშნული პოზიციებიდან ათეული წლის მანძილზე, თავისი მოღვაწეობით, როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და კურატორი, დაკავშირებული იყო ქვეყნის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებასთან, განსაკუთრებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან. ქალბატონი ვიქტორია ზემოთ ხსენებულ წიგნში აღნიშნავს იმ განსაკუთრებული ურთიერთობების შესახებ, რომელიც მას აკავშირებდა აკადემიის პრეზიდენტებთან, აკადემიკოსებთან: ნიკოლოზ მუსხელიშვილთან, ილია ვეკუასთან, ევგენი ხარაძესა და როინ მეტრეველთან. ქალბატონი ვიქტორია სირაძის პირად არქივში ინახება აკადემიკოსების – არნოლდ ჩიქობავას, ელიზბარ ანდრონიკაშვილისა და სხვათა წერილები, სადაც ღვაწლმოსილი მეცნიერები არსებული პრობლემების ანალიზთან ერთად გამოხატავენ უაღრესად დიდ მადლიერებას ქალბატონი ვიქტორიას მიმართ, მათთან თანამშრომლობით სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელებისთვის. არქივში ასევე ინახება ქალბატონ ვიქტორიას სამეცნიერო ხასიათის რამდენიმე მოხსენება და გამოსვლა ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საიუბილეო სხდომებზე და სხვ.

მიუხედავად უაღრესად დატვირთული ცხოვრებისა მან, როგორც მეცნიერ-ქიმიკოსმა, შეძლო ღირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელება და სამეცნიერო სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა. მისი კვლევის ძირითადი მიმართულება გახლდათ საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და წარმოების ნარჩენების შესაძლებლობების გამოყენება, ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით დაამუშავა მანგანუმის მადნის გადამუშავების, ნარჩენებისა და მანგანუმის შლამების გამოყენების ტექნოლოგია მინისტარის წარმოებაში და სხვ. ქალბატონმა ვიქტორია სირაძემ, ზემოთ აღნიშნული თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობით მოკრძალებული წვლილი შეიტანა გამოყენებითი ქიმიის განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, მას ძლიერ აწუხებდა ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, უკვე მეორედ დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, კვლავ ვერ განახორციელა.

ჩემთან ერთ-ერთ მორიგ საუბარში, ქალბატონმა ვიქტორიამ გაიხსენა იმჟამად ქვეყნის მრეწველობის კურატორ – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გენადი კოლბინის მიერ სატელეფონო საუბრისას დასმული შეკითხვა – იცნობდა თუ არა საშენ მასალათა და მინისტარის წარმოების მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების ავტორს, ვინმე ქიმიკოს სირაძეს. სატელეფონო საუბარი, პირადი შეხვედრით გაგრძელებულა და რუსი ცეკას მდივანი გაოცებულა იმ ფაქტით, რომ მრეწველობაში დანერგილი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების ავტორი თურმე მისი კოლეგა, ქალბატონი ვიქტორია სირაძე ყოფილა.

მისი ბიოგრაფიის გამორჩეული შტრიხებია:

– 1972 წელს ვიქტორია სირაძე საბჭოთა მეცნიერების დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში, ცნობილ საბჭოთა მეცნიერებთან ერთად, ეწვია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, სადაც წარმატებული მოლაპარაკებები გამართა სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე. ეს იყო პირველი წარმატებული სამეცნერო-დიპლომატიური ნაბიჯი დასავლეთ გერმანიასთან საბჭოთა კავშირის მხრიდან;

– 1972 წელს საბჭოთა კავშირის დელეგაციის წევრობა და გამოსვლა გაეროს 32-ე სესიაზე;

– 1975-1990 წლებში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მუდმივი წევრის სტატუსი და აქტიური მონაწილეობა აშშ-სსრკ-ს ყოველწლიურ დორტმუნდის კონფერენციაზე;

– 1978 წელს აირჩიეს და 1986 წლამდე მოღვაწეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ;

– 1986-1989 წლებში იგი სათავეში ედგა საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკურ საბჭოს;

– 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არაერთხელ იყო არჩეული საქართველოსა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს, ასევე საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატად;

იყო მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი.

ქალბატონმა ვიქტორიამ კარიერული წინსვლა, როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით, კერძოდ, ასპირანტის სტატუსით დაიწყო. მან 45 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში თანამდებობრივი წინსვლა მე-13 თანამდებობით დაასრულა და 60 წლის ასაკში, დამსახურებულ პენსიაზე გასული, კვლავ მეცნიერებას დაუბრუნდა, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის პოზიციაზე აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის ხელმძღვანელობით ნაყოფიერად მოღვაწეობდა. ამ პერიოდში, მის მიერ გაცემულია არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ხასიათის რეკომენდაცია და რეცენზია, საქართველოს ბუნებრივი რესურსების, მინერალების, ენერგეტიკის, მიწის, ტყის, რეკრეაციული, კომპლექსური და რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ძირითად მიმართულებებზე. ქალბატონი ვიქტორია სირაძე ავტორია არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა, ერთი დანერგილი გამოგონებისა და მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის პუბლიკაციისა. არჩეული იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსად, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო მეგობრად და სხვ.

**ქალბატონ ვიქტორიას ცნობილ სახელმწიფო მოღვაწესთან სერგო რიგვავასთან შექმნილი ოჯახი სამაგალითო გახლდათ ყველა ასპექტით. მიუხედავად დიდი ოჯახური ტრაგედიისა, იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ გამტყდარა... გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მოწვევით, აკადემიის ერთ-ერთი შეკრების სასურველი და პატივცემული მონაწილე იყო.**

**ქალბატონი ვიქტორია სირაძე ეპოქის ღირსეული მოღვაწის სახელით შევა ჩვენი ქვეყნის მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიაში.**

**მალხაზ ბაძაღუა,**
პროფესორი





**ცოტა ხნის წინათ სახლში, წლების წინათ პოლიეთილენის პარკში საგულდაგულოდ გახვეულ ერთობ საგულისხმო ნივთს მივაგენი, რომელიც ლოგინსა და კედელს შორის იდო და რომლის საჭიროების გარკვევას მეუღლე წლების განმავლობაში უშედეგოდ მთხოვდა. ფუთა გავხსენი და იმ საგანმა უმალ უამრავი რამ გამახსენა. ეს იყო ფეხბურთში ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მონაწილეთათვის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მიერ დაწესებული „მაყურებელთა სიმპათიის“ პრიზი — ამ საკავშირო შეჯიბრის უკანასკნელი ოფიციალური ჯილდო.**

**ერთი კია: სამწუხაროდ, საბჭოური ფეხბურთის სხვა პრიზებისგან განსხვავებით, ჩვენი გაზეთისამ სულ სამი წელი იარსება...**

# საბჭოური ფეხბურთის მიუსაფარი ბოლო ჯილდო

**უფროსი თაობის ფეხბურთის მოყვარულებს უთუოდ ახსოვთ ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მაღალი ოსტატობა და ელიტის წარმომადგენელთა ვინაობა, რომელთა შორის, ცხადია, ერთ-ერთი გამორჩეული თბილისის „დინამოც“ გახლდათ.**

„დინამოს“ თავგადაკლული გულშემატკივარი ვიყავი და როცა ჯერ „მოლოდიოჟ გრუზიის“, შემდეგ კი „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი გავხდი, საკუთარ თავს კითხვა დავუსვი: რატომაა, რომ საქართველოში, დიდებული საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანაში, არც ერთ ადგილობრივ გაზეთს საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისთვის არანაირი სოლიდური პრიზი არ დაუწესებია? და ვითომ რა იქნება, თუკი გაზეთი, რომელსაც ვხელმძღვანელობ, ამ თემას წამოაყენებს? არადა, ერთი ასეთი პრიზი თითქოს უკვე არსებობდა: მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ“ ერევნის „არარატს“ ერთხელ, რომ იტყვიან, „კუდით ქვა ასროლინა“ და 5:0 გაანადგურა, თანაც ხუთივე გოლი სომეხ ფეხბურთელთა კარში ჩვენმა დაუვიწყარმა ილია დათუნაშვილმა გაიტანა, ერთ-ერთმა თბილისურმა გაზეთმა პრიზი დააარსა იმ ფეხბურთელისთვის, რომელიც ერთ შეხვედრაში ხუთჯერ და მეტჯერ ბურთს გაიტანს. მაგრამ, განა შეიძლებოდა ამ პრიზის სერიოზულად აღქმა?

უნდა ითქვას, რომ იმ დროისთვის სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში პოპულარული გაზეთების — „იზვესტიის“, „კომსომოლსკაია პრავდის“, „ტრუდის“, „სოვეტსკი სპორტის“, ჟურნალ „ოგონიოკის“, ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის“ და სხვათა მიერ დაწესებული აუარება, ალბათ, ორ ათეულამდე როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური პრიზი იყო — საუკეთესო ბომბარდირისთვის, მეკარისთვის, ყველა დროის საუკეთესო გოლეადორისთვის, ასევე გუნდური სამართლიანი თამაშისთვის, აგრესიული სტუმრისთვის, გატანილი და გაშვებული ბურთების საუკეთესო სხვაობისთვის და ა. შ... ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მთელი საფეხბურთო თემატიკა უკვე დანაწილებული იყო პრიზებად.

მაგრამ 1986 თუ 1987 წელს, მას შემდეგ, რაც გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ საკავშირო ჩემპიონატის შეხვედრების შესახებ რეპორტაჟებში, სხვა სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, სტადიონებზე დამსწრე მაყურებელთა ოდენობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაც დაიწყო, მაშინვე მივხვდი, რომ ეს სწორედ ის პარამეტრი იყო, რომელიც ფეხბურთის მოყვარულთა სიმპათიას ასახავს ამა თუ იმ სტუმარი გუნდის მიმართ.



ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ პრიზისთვის იქნება სხვა, უკეთესი დასახელების მოგონებაც შეიძლებოდა, თუმცა რომ იტყვიან, რაცაა — ეგაა...

მაგრამ დასახელების მოფიქრების გარდა, საჭირო იყო თავად პრიზის დამზადებაც, რომელიც, ცხადია, ერთობ მიმზიდველი და მაღალი ხარისხისა უნდა ყოფილიყო. იმ ხანებში, გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“ ქალაქელებში ერთობ პოპულარული გამოცემა იყო, რომელიც სოლიდური ტირაჟით გამოდიოდა და, ბუნებრივია, გარკვეული ფინანსური შესაძლებლობებიც ჰქონდა და კარგი კავშირები სახელისუფლებო წრეებში. მალე რედაქციის თანამშრომლები სხვადასხვა შემოქმედებით კავშირსა თუ ქალაქის სამრეწველო საწარმოში მივავლინეთ და რედაქტორის, ანუ თქვენი მონა-მორჩილის კაბინეტიც ლამის პრიზის შექმნის მხატვრულ სახელოსნოდ გადაიქცა. იმასაც ვიტყვი, რომ ჩემი თანამდებობის წყალობით, ბოლო სიტყვა მეკუთვნოდა და საკმაოდ მომთხოვნი დამკვეთი გამოვდექი...

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ მთელი ამ საქმიანობის სული და გული, რედაქციის საქალაქო მეურნეობის განყოფილების კორესპონდენტი **მილა როზენბერგი** გახდა, რომელსაც დღემდე უდიდესი მადლიერების გრძნობით ვიხსენებ...

მოვლენებს ცოტათი გავუსწრებ და ბარემ ვიტყვი, რომ, როცა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა, აღნიშნულ დროში დამზადებული ერთ-ერთი პრიზი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ფეხბურთში პირველ ჩემპიონ გუნდს — თბილისის „იბერიას“ გადაეცა.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ, როცა დაჯილდოების ცერემონიაზე მივედი და ორგანიზატორებმა სხვადასხვა გაზეთის რედაქციების მიერ შემოთავაზებული პრიზები ერთმანეთს შეადარეს, არჩევანი ერთხმად „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე შეაჩერეს.

აქვე მინდა გავიხსენო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში (ფიფაში) საქართველოს მიღება. 1991 წელს, „ვეჩერნი ტბილისში“ დაიბეჭდა მაყურებელთა წერილის ტექსტი ფიფა-ს ხელმძღვანელობის სახელზე, რომელშიც თხოვნა იყო ამ ორგანიზაციაში საქართველოს დაუყოვნებლივ მიღებისა და ქვეყნის ევროპის საკლუბო საფეხბურთო ტურნირებში ჩართვის თაობაზე. ტექნოლოგია ასეთი იყო: მკითხველს გაზეთიდან წერილის ტექსტი უნდა ამოეჭრა, ჩაედო კონვერტში, დაეწებებინა საფოსტო მარკა და შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გაეგზავნა, სადაც ფიფა-ს და უეფას შტაბბინებია განთავსებული.

იმ დროისთვის საქართველო უკვე გამოსული იყო სსრ კავშირის შემადგენლობიდან, თუმცა იაფიანი საბჭოური საფოსტო მომსახურება და მარკები ჯერ კიდევ მოიხმარებოდა. ინგლისურ ენაზე გაგზავნილ წერილთა ოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მოკლე დროში რედაქციამ მიიღო ფიფა-ს მაშინდელი გენერალური მდივნის **იოზეფ ბლატერის** პასუხი (სხვათა შორის, შემდგომ იგი ამ პატივსაცემი საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი გახდა).

ახლა მინდა კვლავ დავუბრუნდე 1989 წელს გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციის მიერ დაწესებულ „მაყურებელთა სიმპათიის“ პრიზს, რომლის პირველი მფლობელი იმავე წელს მოსკოვის „სპარტაკი“ გახდა.

ეს კი ასე მოხდა, თუმცა ყოველივე ოდნავ სხვაგვარად იყო.

საქმე ისაა, რომ ერთია პრიზის მოფიქრება, დამზადება და გამარჯვებულის გამოვლენაც კი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა. საიმისოდ კი, რათა პრიზი ოფიციალურად აღიარებული და რეგისტრირებული ყოფილიყო, საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯილდოდ ის სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას უნდა დაემტკიცებინა. ამდენად, პირველი ორი წლის განმავლობაში ჩვენ მას თითქოს არაოფიციალურად ვანიჭებდით და ორივე ჯერზე მისი მფლობელი კიევის „დინამოს“ შესანიშნავი გუნდი ხდებოდა. პირველად ეს გადავეცით 1987 წელს კიევში, მეორედ — უკვე თბილისში. ორივეჯერ პრიზი გადავეცი კიევის „დინამოს“ კაპიტანს ანატოლი დემიანენკოს (იხ. ფოტო).

1989 წლის სეზონის დაწყებამდე, ჩვენ მიერ დაწესებული პრიზი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად აღიარა, მაგრამ ცნობილ პოლიტიკურ მოვლენათა მიზეზით მფლობელისთვის — მოსკოვის „სპარტაკისთვის“, მისი გადაცემა ვერ მოხერხდა, თუმცა კი გარდამავალი პრიზი, წესდებისამებრ, კიევიდან თბილისში დააბრუნეს. ამდენად, ეს დაჯილდოება არ შედგა...

* * *

**გოლოთქმა: სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი პრიზის, ჟიულ რიმეს გარდამავალი თასის — „ოქროს ქალღმერთის“ თავგადასავლის ამბავი, რომელიც 1970 წლიდან სამუდამოდ დარჩა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების საკუთრებაში, რომელმაც ის სამჯერ მოიგო.**

თუმცა, არამცოდნეთათვის მაინც ვიტყვი: მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ჟიულ რამეს თასი 1938 წლის მფლობელებთან, იტალიის ეროვნულ ნაკრებთან ინახებოდა. როცა ხელისუფლების სათავეში იქ ფაშისტები მოვიდნენ და ომი დაიწყო, ამ ძვირფასი პრიზის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა სპორტულმა ფუნქციონერმა **ოტორინო ბარასიმ**, ნაცისტების ხელში მოხვედრისგან მის დასაცავად, ფრთოსან ქალღმერთ ნიკეს ოქროს ქანდაკება, ბანკის საცავიდან გაიტანა ფეხსაცმლის კოლოფში ჩადებული... საკუთარი საწოლის ქვეშ დამალა, სადაც გაატარა გამარჯვების ღვთაებამ მთელი ომი. არ მსურს არანაირი მოურიდებელი პარალელის გავლება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მართალია არა ოქროსი, მაგრამ ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის „მაყურებელთა სიმპათიის“ პრიზი, რომელიც 1989 წელს დაბრუნდა თბილისში, ჩემს ბინაში ისეთივე მორიდებულ ადგილას ინახება, როგორც მრავალი წლის წინათ ოტორინო ბარასის სახლში.

**იმედი მაქვს, რომ დრო მოვა და მას უკეთესი ადგილი მოეძებნება, მაგალითად, თბილისში „დინამოს“ სტადიონის მუზეუმში ანდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რომელიმე სტენდზე. თუმცა ესეცაა — მოეძებნება კი?**



**ვადიმ ანასტასიადი,**
**გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.**

## ПРИЗ ЗРИТЕЛЬСКИХ СИМПАТИЙ



Три года назад редакция газеты «Вечерний Тбилиси» учредила «Приз зрительских симпатий» для команд высшей лиги. Это, наверное, самый демократичный изо всех призов большого футбола: в выборах лауреата косвенным образом участвуют все до единого болельщики, посещающие трибуны стадионов Москвы, Тбилиси, Киева, Днепропетровска, Ленинграда, Вильнюса, Донецка, Еревана и всех других городов, команды которых представлены в высшей лиге. Вот как это делается: берется общее число зрителей, побывавших на матчах каждой из команд в гостях, к нему прибавляется средний показатель посещаемости на своем поле, а полученная сумма делится на число участников розыгрыша. Таким образом, каждый из стадионов, на котором проводятся матчи всесоюзного чемпионата, учитывается при подведении итогов конкурса по разу.

Примечательно, что вот уже третий раз кряду лауреатом приза газеты «Вечерний Тбилиси» стало киевское «Динамо»: в минувшем сезоне динамовцы Киева по приведенной выше формуле получили средний балл 33 734. Как и годом раньше, вторым стал «Спартак» — 30 389. Третьим призером конкурса на этот раз оказался «Жальгирис» — 24 668.

На снимке: капитан киевского «Динамо» Анатолий ДЕМЬЯНЕНКО с «Призом зрительских симпатий» газеты «Вечерний Тбилиси».

14.05.1989 А. Вачьяна (Тбилиси).

საქართველოს რესპუბლიკა



# მამარდაშ ცოცხალი ლეგენდები დაჩრდილა!

**უკვე გაუწყეთ, თუ როგორი თბილი გაცილება მოუწყვეს ვალენსიას გუნლშემატკივრებმა გიორგი მამარდაშვილს, რომელიც ესპანურ გრანდში გატარებული 4 დაუვიწყარი სეზონის შემდეგ კარიერას თვით ლივერპულში გააგრძელებს.**

იმავე დღეს ჯვაროსანთა მეკარეს არანაკლები სიურპრიზი ელოდა – საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **გიგა გვენცაძემ** და ვიცე-პრეზიდენტმა **ბიძინა ბარათაშვილმა** გამორჩეულ მასპინძელს მესტალიას სტადიონზევე გადასცეს ქვეყნის 2024 წლის საუკეთესო სპორტსმენისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი! ისინი პირენეებზე სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ჩავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა 75 კოლეგამ ევრო – 2024-ის ერთ-ერთ გმირს გამოკითხვაში 107 ხმით უპირატესობა, შესაბამისად, ორგზისა და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონებთან – **ლაშა ბექაურთან** (88 ხმა) და **ლაშა ტალახაძესთან** (79 ხმა) კონკურენციაში მიანიჭა. ვულოცავთ!

დავძენთ, რომ 60-წლიან ისტორიაში მამარდა მსგავსი გამოკითხვის მე-5 გამარჯვებული ფეხბურთელია **მეტრეველის, ხურცილავას, შენგელიასა** და **კვარაცხელიას** შემდეგ.

ზემოთ ფეხბურთის სამშობლო ვახსენეთ და აქვე გაუწყებთ, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტოტენჰემი პრესტიჟულ საერთაშორისო ჯილდოს დაეუფლა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დეზებმა ბილბაოში გამართულ ინგლისურ ფინალში მანჩესტერი 1:0 (ჯონსონი) დაამარცხეს, ევროპალიგა მოიგეს და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ, სადაც, სხვათა შორის, პირველად ყველაზე პოპულარული ევროტურნირის ისტორიაში, ერთი ქვეყანა ერთბაშად 6(!) კლუბით იქნება წარმოდგენილი.

# უსაზღვრო ფეხბურთი



**ონის სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე „დინამო თბილისის“ აკადემიის ინიციატივითა და ონის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, საფეხბურთო ფესტივალი გაიმართა.**

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ონის, ამბროლაურის, ტყიბულის, თერჯოლის და ხარაგაულის საფეხბურთო სკოლების გუნდებმა.

ფესტივალს „დინამო თბილისის“ აკადემიის ორგანიზებით 150-ზე მეტი ბავშვი ესწრებოდა. სპორტული ღონისძიება ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და „დინამო თბილისის“ საფეხბურთო აკადემიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა.

პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ „დინამოს“ აკადემიის რეგიონული პროექტების მენეჯერი **გია ისიანი** და კოორდინატორი **პაატა გოცირიძე**.

„დინამო თბილისმა“ რეგიონებში საფეხბურთო სკოლების ქსელი ნიჭიერი მოთამაშეების აღმოჩენის მიზნით ჩამოაყალიბა. პროექტში ჩართულია 28 მუნიციპალიტეტის გუნდი. ონის ‘მამისონის“ საფეხბურთო სკოლის ბავშვებს „დინამო თბილისისგან“ საჩუქრად სპორტული სავარჯიშო ინვენტარი გადაეცათ.

# მშვილდითაც გვაჩვევენ



**თითქმის დღე არ გავა, ქართველ სპორტსმენთა წარმატებებით რომ არ გაგახაროთ და განსაკუთრებით აღსანიშნავი ის ფაქტი გახლავთ, ხშირად შედარებით ნაკლებად პოპულარულ სახეობათა წარმომადგენლები რომ აღწევენ მიზანს.**

გამონაკლისი არც ბულგარეთში გამართული მშვილდოსანთა ახალგაზრდული ევროპის თასის გათამაშება აღმოჩნდა, სადაც ჯვაროსან გოგონათა ნაკრებმა **ანა ბოლქვაძის, ნია გათენაძისა** და **ელენე ეფრემიძის** შემადგენლობით, პირველად ისტორიაში, ასეთი მაღალი რანგის ფორუმის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩვენი გუნდი ტურნირში, საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგების მიხედვით, მეოთხედფინალიდან ჩაება და პოლონეთი 6:0 დაჯაბნა, მაგრამ ნახევარფინალში ფავორიტ იტალიასთან მძაფრ ბრძოლაში 2:4 დამარცხდა.

სასიამოვნოა, რომ კავკასიურმა ტრიომ მალევე მოიკრიბა ძალები და საპატიო კვარცხლბეკზე ჩეხებთან ღირსეული გამარჯვებით – 6:0 შეაბიჯა.

**ვულოცავთ!**

Euroleague Basketball

# არაბული გაზაფხული

**დღეს ნაღდი საკალათბურთო ევროლიგა ოთხთა ფინალით იწყება, რომელსაც პირველად უმასპინძლებს სხვა კონტინენტი, კონკრეტულად – აბუ დაბი.**

რას ვიზამთ – უკვე ყველაფერს კომერციული ინტერესები განსაზღვრავს და სხვაგან სად, თუ არა საუდის არაბეთში, უნდა შეკრებილიყო აღნიშნული სახეობის საკლუბო ელიტა ფეხბურთელთა და ხელბურთელთა მსგავსად, რომლებმაც უმაღლესი რანგის სანაკრებო ფორუმები კატარში წარმატებით ჩაატარეს.

რაც შეეხება წყვილებს, სავსებით შესაძლებელია, რომ 25 მაისს ტიტულს რომელიმე ბერძნული გრანდი დაეუფლოს, რადგან პლეი-ოფში ერთმანეთს პანათინაიკოსი – ფენერბახჩე (19 საათზე თბილისის დროით) და რეგულარული სეზონის გამარჯვებული ოლიმპიაკოსი – მონაკო (22 საათზე) შეხვდებიან, სადაც ასევე ელადელი თავკაცის, ლეგენდარული ვასილის სპანულისის თანაშემწე **მანუჩარ მარკოიშვილი** გახლავთ.

**მოკლედ, რამდენიმე საათიც მოვითმინოთ და...**

# ლიდერობენ ესპანელები

**31 მაისს მიუნჰენის „ალიანს არენაზე“ გაიმართება ჩემპიონთა ლიგის საიუბილეო 70-ე ფინალური შეხვედრა. ეს მთელი ისტორიაა, რომელსაც თავისი წარსული გააჩნია. დავიწყოთ იმით, რომ თავდაპირველად მას ერქვა ჩემპიონთა თასი და მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ ქვეყნების ჩემპიონები. არსებითად შეიცვალა ვითარება 90-იან წლებში და მას ჩემპიონთა ლიგა ეწოდა. ტრანსფორმაცია განიცადა ჩატარების ფორმატმაც. ახლა მასში თამაშობენ არა მარტო ჩემპიონები, არამედ ტოპ ქვეყნების ოთხი უძლიერესი კლუბი. დღეს ეს კიდევ იცვლება. ეს კარგია. ამან შექმნა უფრო კონკურენტუნარიანი გარემო. ეს საინტერესო და წინგადადგმული ნაბიჯია.**

**ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს გავიხსენოთ წარსული და ფეხბურთის გულშემატკივარს შევახსენოთ საინტერესო სტატისტიკა, რომელიც ამ თასის ისტორიის ორგანული შემადგენელი ნაწილია და მას ვერ მოვწყვეტთ. ეს გამართლებული არ იქნებოდა.**

**თავდაპირველად, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, გავიხსენოთ რომელი ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ ამ პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე ყველაზე უფრო წარმატებით.**

* * *

**ამ შემთხვევაში ლიდერებად ესპანეთის გუნდები გვევლინებიან.** ისინი 20-ჯერ ფლობდნენ ამ პრესტიჟულ საკლუბო ჯილდოს. თხუთმეტჯერ ეს გააკეთა სახელგანთქმულმა მადრიდის „რეალმა“, ხოლო ხუთჯერ კი „ბარსელონამ“. ამ თვალსაზრისით, ძნელი საფიქრებელია, რომ უახლოეს მომავალში ვინმემ შეძლოს მათი დაწევა ან გადასწრება. უნიკალურია მადრიდის „რეალის“ მიღწევა. მან თხუთმეტჯერ მოიგო ეს ტურნირი, უშუალო კონკურენტებთან მისი უპირატესობა საკმაოდ სოლიდურია და მას არაფერი არ ემუქრება. უნდა გამოვთქვათ ერთი მოსაზრება, რომ არსებობდა იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა 1958 წელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრაგიკული ავიაკატასტროფა მიუნჰენში, შესაძლოა, ეს რეკორდი არც ყოფილიყო და „რეალს“ ზედიზედ ხუთჯერ ვერ მოეგო ეს პრესტიჟული ტურნირი, ინგლისელებს კი ათი წელი არ დაჭირდებოდათ მოცდა და უკვე მაშინ მოეგოთ ეს ავტორიტეტული ტურნირი. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია.



**მეორე ადგილზე არიან ინგლისური კლუბები.** ისინი თხუთმეტჯერ იყვნენ ამ პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებულები. ესპანელთაგან განსხვავებით ეს გააკეთა 6 გუნდმა: ექვსჯერ „ლივერპულმა“, სამჯერ „მანჩესტერ იუნაიტედმა“, ორჯერ „ნოტინგემ ფორესტმა“ და „ჩელსიმ“ და თითოჯერ „ასტონ ვილამ“ და „მანჩესტერ სიტიმ“. ალბათ, ინგლისური კლუბების წარმატებები უფრო სოლიდური იქნებოდა, რომ არა 80-იანი წლების მეორე ნახევრის დისკვალიფიკაცია, როდესაც ისინი ბრიუსელის „ეიზელზე“ ტრაგედიის შემდეგ, რომელიც მოხდა „ლივერპულის“ და „იუვენტუსის“ ფინალური მატჩის დროს, მოკვეთილი იქნენ ევროპული სარბიელიდან. ინგლისელთა წარმატება უფრო ღრმაა და ბევრ გუნდებზეა გადანაწილებული. ესაა განსხვავება ესპანურ კლუბებთან შედარებით.

**მესამე ადგილზე არიან იტალიის გუნდები.** ისინი თორმეტჯერ ფლობდნენ ამ საპატიო თასს. შვიდჯერ ეს გააკეთა „მილანმა“. ის ყველაზე ახლოსაა „რეალთან“, მაგრამ ესპანელთა უპირატესობა მაინც ძალზე სოლიდურია და ძნელი საფიქრებელია, რომ მას რაიმე დაემუქროს. უფრო ამისი თეორიული შანსი არსებობს. სამჯერ იყო ამ ტურნირის გამარჯვებული მეორე მილანური გრანდი „ინტერნაცინალე“, ხოლო ორჯერ ფლობდა საპატიო თასს ტურინის „იუვენტუსი“. ბოლოს ამ ტურნირზე წარმატებას იტალიურმა კლუბმა 2010 წელს მიაღწია, როდესაც „ინტერმა“ ჟოზე მაურინიოს ხელმძღვანელობით მოიგო ეს პრესტიჟული ტურნირი. ერთი ქალაქის ორი გუნდისათვის ეს არის უნიკალური მიღწევა, რომლის გამეორება ან კიდევ გაუმჯობესება ადვილი არ იქნება.

**მეოთხე ადგილი უჭირავთ გერმანიის კლუბებს.** ისინი რვაჯერ დაეუფლნენ ჩემპიონთა თასს. ექვსგზის მფლობელია „რეკორდმაისტერი“ მიუნჰენის „ბაიერნი“, ხოლო თითოჯერ ფლობდნენ მას „ჰამბურგი“ და დორტმუნდის „ბორუსია“.

**მეხუთე ადგილზე არიან ნიდერლანდების კლუბები.** ისინი ექვსჯერ ფლობდნენ ამ ტიტულს. სულ ასეთია სამი კლუბი. „აიაქსი“ ოთხჯერ, „ფეიენოორდი“ და „პსვ ეინდჰოვენი“ თითო-თითოჯერ.

**მეექვსე ადგილზე არიან პორტუგალიის გუნდები.** ისინი ოთხჯერ დაეუფლენ თასს, ორჯერ „ბენფიკა“ და კიდევ ორჯერ „პორტუ“.

და ბოლოს დავძენთ, რომ თითო-თითოჯერ მოიგეს ეს ტურნირი: გლაზგოს „სელტიკმა“ (1967), საფრანგეთის „მარსელმა“ (1993), ბუქარესტის „სტიაუამ“ (1986) და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ (1991). იკვეთება საინტერესო სურათი: ამ საპატიო ჯილდოს სულ ფლობდა 10 ქვეყნის 23 წარმომადგენელი.

**მერაბ კალანდაძე.**

(დასასრული მორიგ ნომერში)

# განცხადება

## სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. გამოცხადდეს არჩევნები და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.
2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდეს 2025 წლის 22 მაისს.
4. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 24 ივნისს და გაგრძელდეს 7 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე 10.00 საათიდან 17.00 საათამდე (გარდა შაბათ-კვირისა) მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N61, მე-3 სართული, ოთახი N302.
5. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნულ დღეებში, კანდიდატები აკადემიურ საბჭოს წარუდგენენ თავიანთ სამოქმედო გეგმას. აკადემიური საბჭო ეცნობა თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.
6. რექტორის არჩევნები დაინიშნოს 2025 წლის 17 ივლისს.
7. არჩევნების შედეგები ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი დადგენილების გამოქვეყნებისთანავე.
8. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
გ) უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ე) ავტობიოგრაფია (CV);
ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
თ) ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ;
ი) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გველესიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905/ზესტაფონი, სოფელი შროშა, პირველი ქუჩის II ჩიხი N4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზესტაფონი, სოფელი შროშა, პირველი ქუჩის II ჩიხი N4 (საკადასტრო კოდი: 32.07.36.075)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 102533.91 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 22 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 4 ივნისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP108910325;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1089103

**6. მოვალე:** შპს „კომფორტი“ (ს/კ 400199405), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905;

გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP108910325; ლოტის ნომერი: 1089103).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 4 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბადრი მჭედლიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბადრი მჭედლიშვილი (პ/ნ 20001062480), თელავი, სოფელი აკურა, მე-2 ქუჩა N18

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თელავი, სოფელი აკურა (საკადასტრო კოდი: 53.01.35.000.108)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 25884.61 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 22 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 4 ივნისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP108902425;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1089024

**6. მოვალე:** ბადრი მჭედლიშვილი (პ/ნ 20001062480), თელავი, სოფელი აკურა, მე-2 ქუჩა N18

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP108902425; ლოტის ნომერი: 1089024).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 4 ივნისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19616 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 22 მაისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 4 ივნისი, 14:15 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP108907925;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1089079

6. **მოვალე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP108907925; ლოტის ნომერი: 1089079).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 4 ივნისის 12:00 საათამდე.



# «კოლხური ფსალმუნების» ავტორი რეკორდსმენი პოეტი და განმანათლებელია!

**2025 წლის 15 მაისს დაფუძნდა და რეგისტრაციაში გატარდა ქართული პოეზიის რაინდის, „კოლხური ფსალმუნების“ 200-ტომეულის ავტორის, ღირსების ორდენის კავალრის, ქ. ხობის, ზუგდიდის, ჩარგლის, იყალთოს საპატიო მოქალაქის; საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ და საქართველო – კოლხეთის (ფაზისი) საერო-სამეცნიერო, საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის, პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის სახელობის საერთაშორისო, საჯარო ბიბლიოთეკა.**

**ამ საერო-საგანმანათლებლო დაწესებულების გენერალური დირექტორია, სამართლის აკადემიკოსი აპოლონ გადელია.**

**ბიბლიოთეკის მისამართია: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა N105.**

საქართველო – კოლხეთის (ფაზისის) აკადემიის პრესცენტრი.

## ვაჟა ეგრისელი

### საქართველოს

ისევ –
ლოცვად დგას
სვეტიცხოველი,
რომ შენი ზეცა
აღარ დაღამდეს...

### დედა

სხვენზე დევს მამის თოხი და წალდი,
მოხუცი დედა საკერავს კერავს,
მუხის ღადარზე შიშხინებს მწვადი,
მამა არ უზის მშობლიურ კერას.

ფიქრობს დედა... და ფიქრებს ჰგავს კვამლი,
ეზოში ფოთლებს ქარები ჰგვიან
არ უყივლიათ მეორედ მამლებს,
მამა კი, უფრო მოსულა გვიან.

გზას ფეხაკრეფით მიჰყვება ღამე,
წელს მდევარივით მიჰყვება წელი
და ზოგჯერ დედას სიკვდილი მამის...
ავიწყდება და... დილამდე ელის...

### ჩემი ხორგა

დღისით და ღამით –
გზისკენ მზირალი –
მეგრული ოდა,
ჭა და ბადია,
ორიოდ ლექსი,
ორიც ბოკვერი,
– ეს არის ქვეყნად
რაც მაბადია.

**განცხადება**

**შპს უნივერსიტეტი „გეომედი“ აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.**

**ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.**
**ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge**
**ელ.ფოსტა: info@geomedi.edu.ge**
**ტელ.: 2 75 25 20**

## რადიოარხ „საქართველოს რადიოს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

**საქართველოს რადიო 1925 წლის 23 მაისიდან მაუწყებლობს და ის ერთ-ერთი უძველესი რადიოსადგურია ევროპაში. 100 წლის წინ ქართული რადიომაუწყებლობის დაბადება სწორედ პირველი ქართველი ლოტბარი ქალის, მარო თარხნიშვილისა და მისი გუნდის მიერ შესრულებული „ურმულით“ აღინიშნა.**

1935 წელს ეთერით პირველად გაისმა აკაკი წერეთლის ხმა, ეს იყო ეპოქალური მომენტი ქართული რადიოისტორიისთვის. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნავენ, რომ რადიომ, მნიშვნელოვანწილად, განათლებისა და კულტურის გამავრცელებელი ინსტიტუტის როლი შეითავსა, რადგან საქართველოს რადიოს ეთერით ყოველთვის ისმოდა გამართული ქართული მეტყველება – მაშინაც კი, როცა ქართულ ენას ებრძოდნენ.

საქართველოს რადიომ შეინარჩუნა და განავითარა თავისი დიდი კულტუროლოგიური ტრადიციები და დღესაც ამ ღირებულებებით განაგრძობს არსებობას. ეს ერთადერთი რადიოა, სადაც კვლავ ისმის კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი, თეატრი, რადიოდადგმები, ქართული და მსოფლიო ლიტერატურული ნაწარმოებები. აქ კვლავ გრძელდება მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენების ჩაწერა; „ოქროს ფონდი“ ახალი შედევრებით ივსება; მზადდება სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები.




## „წმინდა მეომრები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში“

**გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში გაიმართა წიგნის – „წმინდა მეომრები შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში“ წარდგენა.**

ღონისძიება გახსნა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **მარიამ გაჩეჩილაძემ**. მონოგრაფია საზოგადოების წინაშე წარადგინეს რედაქტორებმა: **ეკატერინე გედევანიშვილმა** და **ნიკოლოზ ალექსიძემ**.

**„წიგნი შეისწავლის იმ ხუთი დიდი წმინდა მეომრის კულტსა და ვიზუალურ ტრადიციას, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობდნენ შუა საუკუნეების საქართველოში. ცალკეული თავები ეთმობა წმინდა გიორგის, დიმიტრის, თევდორე ტირონს/სტრატილატს და ევსტათე პლაკიდას, რადგან ამ წმინდა მეომრების კულტი საქართველოში საგრძნობლად ჩრდილავს ყველა სხვა წმინდა მეომარს. გარდა ვიზუალური მასალისა, წიგნში უხვადაა გამოყენებული ლიტერატურული და ლიტურგიკული წყაროებიც. ცალკე თავადაა გამოყოფილი ყველა ძირითადი წმინდა მეომრის ლიტურგიკული მოსახსენებლებისა და ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის ამსახველი მასალა, რაც საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულ წმინდანებთან ერთად, ზოგადად ამ დასის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ასახავს.**




**საერთო ჯამში, მონოგრაფია წარმოგვიდგენს საქართველოში წმინდა მეომრების კულტის ჩასახვისა და განვითარების ფართო და მდიდარ ისტორიულ, ლიტერატურულ, ლიტურგიკულსა და მხატვრულ სურათს. თუმცა, წიგნის მთავარი ფოკუსი მაინც წმინდა მეომრების სახვითი ტრადიციაა, რამაც განსაზღვრა კიდეც ამ ინტერდისციპლინური მონოგრაფიის სტრუქტურა.**

**წიგნი დაიბეჭდა სამეცნიერო კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SNF), „საზოგადოება ივერიისას“ და FARIG-ის მხარდაჭერით“,** – აღნიშნულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## „ტრაგედიაზე მეტი...“

**ალპინისტი და სამთო გიდი ნიკოლოზ ფალიანი უშბაზე ექსპედიციის დროს ტრაგიკულად დაიღუპა,** – ინფორმაციას Adrenaline-ის გვერდი ავრცელებს.



**„დიდი მწუხარება დაგვატყდა თავს, დღეს შევიტყვეთ ნიკოლოზ ფალიანის ტრაგიკულ დაღუპვის შესახებ უშბაზე ექსპედიციის დროს. ნიკოლოზ ფალიანი იყო გამორჩეული ალპინისტი და სამთო გიდი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტურიზმის განვითარებაში. მისი გარდაცვალება დიდი დანაკარგია როგორც მისი ოჯახის, მეგობრებისა და სვანეთისთვის, ასევე მთელი სპორტის და ტურიზმის საზოგადოებისათვის.**

**ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, მეგობრებს, თანამოაზრეებს, სვანეთს და საქართველოს მთელ საზოგადოებას.**

**ნიკოლოზის ძალა, სიმამაცე და სიყვარული მთების მიმართ მუდამ დარჩება ჩვენთან. ADRENALINE-ის გუნდი“,** – წერია გავრცელებულ განცხადებაში

## ერევანი-ბათუმი-ერევნის სამგზავრო მატარებელი 14 ივნისიდან ივლის




**ერევანი-ბათუმი-ერევნის სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა 14 ივნისიდან განახლდება. „საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, შესაბამისი შეთანხმება „საქართველოს რკინიგზასა“ და „სამხრეთ კავკასიის რკინიგზას“ შორის გაფორმდა.**

შეთანხმება ერევანში გამართულ შეხვედრაზე შედგა, რომლის თანახმად, მეზობელ ქვეყნებს შორის სამგზავრო მატარებლების რეისები დღეგამოშვებით, საქართველოში ზღვის საკურორტო სეზონის შესაბამისად, 1 ოქტომბრამდე შესრულდება. შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

## შემზარავი სტატისტიკაა!

**2021 წლიდან 2025 წლის პირველი კვარტალის ჩათვლით, 19 000 პირი ჰყავს შსს-ს ნარკოტიკული დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემული, აქედან, დაახლოებით 1 000 პირი ნარკოგამსაღებელია,** – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე დარახველიძემ.**

## ისევ და ისევ ნარკოდანაშაული...

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით ლატვიის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავეს.**

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებული არიან: 1979 წელს დაბადებული ნ.კ. და 1978 წელს დაბადებული გ.გ. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერება, მათ შორის: ნახევარ კილომდე „კოკაინი“ და კილოგრამამდე „კეტამინის“, „მდმასა“ და „მეფედრონის“ შემცველი ნივთიერება. ელექტროსასწორი, წებოვანი ლენტები და პოლიეთილენის ჩამკეტიანი პარკები“.





# ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი გამოფენა





**20 მაისს თბილისის სამხატვრო სასწავლებელში გაიხსნა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი გამოფენა.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეების მიერ გრაფიკული, ფერწერული და შერეული ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები. გამოფენას დაესწრნენ საპატიო სტუმრები: **მარიკა ზედელაშვილი, ლელა რაზიკაშვილი, მანანა სამაშვილი, მარიამ გაჩეჩილაძე.**



# „ერისიონის“ გამოფენა კულტურის ისტორიის მუზეუმში

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში საქართველოს სახალხო არტისტისა და საზოგადო მოღვაწის, ჯემალ ჭკუასელის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.**

გამოფენაზე წარმოდგენილია გამოჩენილი ლოტბარისა და ხელოვანის უნიკალური საოჯახო ფოტო და ვიდეომასალა, სასცენო ჩოხა და მოქანდაკისა და მხატვრის მერაბ ბერძენიშვილის მიერ ანსამბლ „ერისიონისთვის“ შექმნილი კოსტიუმები. დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ფონდ ,,ქართული გალობის“ მხარდაჭერით გამოცემული უნიკალური აუდიოარქივი, რომელშიც შესულია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე ანსამბლ „ერისიონის“ მიერ შესრულებული ასამდე ქართული საუკეთესო სასიმღერო ნიმუში. გამოფენის გახსნას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო.

**„ერისიონი“ ამ საქმეს 100 წელზე მეტია ემსახურება და საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს. ეს პოლიფონია არ არის მხოლოდ მუსიკა. ეს არის ჩვენი ერთად დგომის, სახელმწიფოებრიობის, კულტურის განუყოფელი ნაწილი, ჩვენი სავიზიტო ბარათი. მადლობა „ერისიონს“, გვიყვარხართ, გვეიმედებით. ჯემალ ჭკუასელი თავისი ცხოვრებით ყველაზე დიდ საქმეს ემსახურა და ჩვენ არ გვაქვს უფლება, ეს არ შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

# „ილია II-ის კურთხევით, 23 მაისს ვზეიმობთ აფხაზეთობას“

**„ა.წ. 23 მაისს, პარასკევს, აღინიშნება წმ.ანდრია პირველწოდებულის თანმხლების წმ. მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენება, რომლის ნეშტიც აფხაზეთში, სოფელ კომანში განისვენებს. ამიტომაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით, ეს დღე გამოცხადდა აფხაზეთის დღედაც და ვზეიმობთ აფხაზეთობას“,** – ამის შესახებ ინფორმაციას საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

ამასთან დაკავშირებით, დღეს საზეიმო წირვა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაიწყება 10:00 საათზე, მწირველი მღვდელმთავარი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, წალკელი ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია).

12:00 საათზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს და **პარაკლისს მშვიდობისა და ერთობისათვის გადაიხდის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). ამასთან, დაილოცება ჩვენი დევნილი მოსახლეობა.**

**19:00 საათზე ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში, წმინდა სვიმონ კანანელის სახ.მშენებარე ტაძრის მიმდებარედ, მთავრობის ორგანიზებით და საქართველოს საპატრიარქოს ჩართულობით გაიმართება საზეიმო ღონისძიებები: მოეწყობა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა და ფოტოგამოფენა, ჩატარდება კალიგრაფიის მასტერკლასი, ნაჩვენები იქნება მოკლემეტრაჟიანი** დოკუმენტური ფილმი და წარმოდგენილი იქნება გალა-კონცერტი საგალობლებითა და ხალხური სიმღერებით.

**„წმინდა სვიმონ კანანელის მეოხებით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ინებოს საქართველოს მშვიდობა, ერთობა, მთლიანობა და კეთილდღეობა“,** – წერია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სვიმონ კანანელი

**...სვიმონ კანანელი იმ ათორმეტ მოციქულთაგანია, რომელიც უფლის თვითმხილველი, მის გვერდით მდგომი, მისი სარწმუნო მოწაფე, მეგობარი და მისივთე სიყვარულისა და ერთგულების ბოლომდე დამნახველი იყო.**



აღსანიშნავია ის, რომ სვიმონ კანანელი მრავალ ქვეყანაში ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას, მათ შორის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წარდგინებით, ანდრია პირველწოდებულთან ერთად, იბერიაშიც...

საგულისხმოა, რომ წმინდა მოციქულის მიერ კურთხეული აფხაზეთი, დღეს ყოველი ქართველის ღია ჭრილობაა; შევთხოვოთ უფალს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისი სულიერი ამაღლება!

...წმინდა სვიმონის გულისხმას ღმერთი ისმენს და მას მოიყვანს ლაზთა მიწაზე, სადაც, როგორც გარდამოცემიდან ვიცით, ურწმუნოები მას ჯვარზე აცვამენ. ქართლოსიანთა მიწა ქრისტეს ზიარი სისხლით იკურთხება და მისი ნათელით განინათლება. ჭეშმარიტად, მირონი არის ღვთის წინაშე სვიმონ კანანელის მიერ დაღვრილი, მოწამეობრივი ოფლი და სისხლი. აფხაზეთში მან ბევრი იქადაგა და დაამხო კერპთაყვანისმცემლობა.

**გიული ლიპარტია**

# 24-25 მაისს სიღნაღის თეატრი ბავშვთა ფესტივალს – ,,ქიზიყი-2025‘‘ უმასპინძლებს

**ფესტივალში 7 საბავშვო თეატრალური დასი მიიღებს მონაწილეობას, სასცენო დადგმებს კი ჟიური შეაფასებს და სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებს გამოავლენს.**

ბავშვთა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში, სიღნაღს შვეიცარიული თეატრალური დასი საკუთარი სპექტაკლით ეწვევა.

**„ქიზიყი-2025“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდება.**




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 26 მაისს**